პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN CK KP GRUZII, VERHOVNOGO SOVETA GRUZINSKOI SSR I SOVETA MINISTROV GRUZINSKOI SSR

1977 ხუთშაბათი 14 ივლისი № 163 (16903) ფასი 2 კაპ. 1977

ხუთწლედი — ვადამდე

ნოგათეგი სამშოგლოს

ქიათურა. საიუბილეო წლის მეორე ნახევარი დამკვრელურად გამოაცხადეს ქალაქ ქიათურის მრეწველობის მშრომელებმა, რომლებმაც ვადაზე 4 დღით ადრე შეასრულეს წლის პირველი ნახევრის პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის დავალებანი.

სახალხო მეურნეობას ექვსი თვის გეგმის გადამეტებით გაეგზავნა 1.450 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, რაც ბევრად აღემატება ნაკისრ ვალდებულებას.

წლის მეორე ნახევრის პირველი დღეების დავალებებიც გადაჭარბებით სრულდება.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ქიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. მარგველაშვილმა და ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. გოგატიშვილმა.

ონი — ლიტოვეჯ

საქართველოში 150.000 ტონა მარცვლეულისათვის განაღებულ შეკიბრებაში პირველ წარმატებას მიაღწიეს სიღნაღელმა მემინდვრეებმა. მათ გადაჭარბებით შეასრულეს თავთავიანი მარცვლეულის დამზადებას წლიური გეგმა, 10.000 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 10.200 ტონა პურეული. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვა გრძელდება.

მემინდვრეთა ამ ბრძოლის შესახებ რედაქციას აცნობეს პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ქარუმიძემ. და რაიხალკომის აღმასკომის თავმჯდომარემ ჯ. გოგინაშვილმა.

60

საბჭოების საქმიანობის დემოკრატიული პრინციპების განვითარება

საბჭოთა ადამიანებმა ღრმა კმაყოფილებითა და სრული მოწონებით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმის გადწყვეტილებანი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინათ დამთავრებული სესიის შედეგები. ლ. ი. ბრეჟნევის არჩევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ შეესაბამება ჩვენი საზოგადოების უმაღლეს ინტერესებს და ხელს შეუწყობს შემდგომ მიღწევებს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში, ახალ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის ფართოდ განხილვა შემოქმედებით ძალ-ონერს, აქტივობასა და ინიციატივას მატებს ხალხის მასებს. კონსტიტუციის მიღება, როგორც ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის მშრომელთაგან აღნიშნავენ, გახდება მნიშვნელოვანი ისტორიული ნიშანსვეტი საბჭოთა კავშირის განვითარებაში, საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტში დამკვიდრებულია გიგანტური მიღწევები ჩვენი ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ დარგებში, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფისა და განვითარებაში, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიების განმტკიცებაში. ერიელიბნ რა მთელ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სოციალისტური დემოკრატია საქმით გამოხატავს და იცავს ხალხის ინტერესებს, ემსახურება კომუნიზმის საქმეს. ჩვენს ქვეყანაში არსებითად არ არის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც განხილებოდეს და წყდებოდეს მშრომელი ადამიანების უარერესად აქტიური, უშუალო მონაწილეობის გარეშე.

მაგრამ, ჩვენი საზოგადოების დემოკრატიზმს ყველაზე სრულად გამოხატავს საბჭოების მრავალმხრივ საქმიანობა, რომლებიც, როგორც კონსტიტუციის პროექტის მეორე მუხლშია ჩაწერილი, შეადგენს სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს. კომუნისტური პარტიის მითითებათა შესაბამისად, უკანასკნელ წლებში შემუშავებული და მიღებულია კანონი დემოკატთა სტატუსის შესახებ, საკანონმდებლო აქტები სადამო, სასოფლო, რაიონული და საქალაქო საბჭოების შესახებ, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს სახალხო ხელისუფლების ორგანოების მუშაობის დაყენება თანამედროვე ამოცანების დონეზე, მასებთან მათი კავშირის შემდგომი გაძლიერება. კონსტიტუციის პროექტი, რომელიც იცავს ამ პრინციპულ კურსს, ახალი დიდი წინადადგმული ნაბიჯია.

კანონიერებული სოციალიზმის პირობებში საბჭოები მთელი ხალხის ინტერესების გამომხატველ ორგანოებად გვევლინება. ამიტომ ჩვენი ხელისუფლების ორგანოების სახელწოდების შეცვლა (სახალხო დეპუტატთა საბჭოები ნაცვლად მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისა) ასახავს სახელმწიფოს საერთო-სახალხო ხასიათს, საბჭოების სრულიფფლებიანობას, თანმიმდევრულ განვითარებას, მათ მიერ საბჭოთა მშრომელების უდიდესი მასების სულ უფრო მჭიდრო გაერთიანებას, იმ არსებით ძვრებს, რომლებიც საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მოხდა.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზაციას და საქმიანობას სუფთქვლად უდგას დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი (მუხლი 3). ეს ფუძემდებელი ლენინური პრინციპი მკაფიოდ ხორციშესხმულია საბჭოების ფორმირებითა და მათი საქმიანობით. პროექტში დამკვიდრებულია ყველა საფეხურის საბჭოების სისტემის ერთიანობა, ხაზგასმულია, რომ ყველა სხვა სახელმწიფო ორგანო ანგარიშვალდებულია საბჭოებისწინაშე და ექვემდებარება მათს კონტროლს. დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი მოქმედებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურულ-აღმზრდელობითი ამოცანების განხორციელების პროცესში, უზრუნველყოფს ერთიანი ხელმძღვანელობისა და ადგილობრივი ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტივობის შეხამებას. ამ გარემოებას განსაკუთრებული აზრი ენიჭება იმ პირობებში, როცა ქვეყანაში შეიქმნა ერთიანი მძლავრი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი, როცა საზოგადოების განვითარება სულ უფრო გეგმიანი და მიზანმიმართული ხდება.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტში (მუხლები 92, 93) აღნიშნულია, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოები ხელმძღვანელობენ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა დარგს, თავიანთ საქმიანობას საფუძვლად უდებენ საკითხთა კოლეგიტური, თავაზეფალ, საქმეან განხილვასა და გადაწყვეტას, საჯაროობას, აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების ანგარიშვალდებულებას, მათს მუშაობაში მოქალაქეთა ფართოდ ჩაბმას. ხალხის ორ მილიონზე მეტი რჩეული, 30-მილიონიანი აქტივი — ეს, როგორც ვ. ი. ლენინი წინასწარმეტყველებდა, საბჭოების მიერ ხალხის ჭეშმარიტად საყოველთაო გაერთიანება. დღეს ნამდვილი სახალხო ხელისუფლების მძლავრი ფაქტორია.

17 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე გამოსვლისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა: „საბჭოები ხალხის ცოცხალი, მოძრავი, მუდმივად განახლებადი ორგანიზაციაა. ისევე როგორც თავის დროზე მათ შეძლეს საერთო კალაპოტი წარემართათ მასების რევოლუციური მოძრაობა, მათი მეცადინეობა სოციალიზმის მშენებლობაში, ისე ახლაც, მომწიფებული სოციალიზმის პირობებში. საბჭოების მუშაობაში შესისხლხორცებული უნდა იყოს ბრძოლა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, პარტიის მიერ დასახული ფართო სოციალური პროგრამის შესრულებისათვის, ჩვენი სოციალისტური დემოკრატიის ყველა მხარის განვითარებისათვის, ესე იგი კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტისათვის“. საბჭოებისადმი ეს ვეფერი და ბრძნული დამრიგებლური სიტყვები გამოხატავს უახლოესი წლებისათვის მათი საქმიანობის ზუსტ პროგრამას.

საბჭოთა მუშაობის საკითხებსა და მათი არჩევის წესს კონსტიტუციის პროექტში სპეციალური ნაწილი ეძღვნება. პროექტი ყველა საფეხურის საბჭოებს უწოდებს საერთო-სახალხო სახელმწიფო ხელისუფლების მექანიზმის ურთიერთდაკავშირებულ შემადგენელ ნაწილებს. როგორც ეს ნაწილი, ისე კონსტიტუციის ის მუხლებიც, რომლებიც ეძღვნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ადგილობრივი ორგანოების მუშაობის საკითხებს, დამაჯერებლად მოწმობენ, რომ კიდევ უფრო გაიზარდა საბჭოების როლი ქვეყნის ცხოვრების ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაწყვეტაში.

საბჭოთა სოციალისტური წარმომადგენლობის განმასხვავებელი ნიშანი ყოველთვის იყო საბჭოების რეალური კონტროლი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების საქმიანობისადმი. მოვიყვან მის დამახასიათებელ მხოლოდ რამდენიმე ციფრს. მაგალითად, 1976 წელს ადგილობრივი საბჭოების სესიებზე ანგარიში ჩაბარა ყველა აღმასკომის საერთო რიცხვის 99,5 პროცენტმა, ამდენივე აღმასკომმა უშუალოდ მოსახლეობას ჩააბარა ანგარიში. პრაქტიკაში ფართოდ დანერგილია დეპუტატთა შეკითხვების განხილვა. მარტო 1976 წელს საბჭოების ყველა რგოლის დეპუტატებმა შეიტანეს 73 ათასზე მეტი შეკითხვა, რომელთა დიდ უმრავლესობას პასუხი გაეცა სესიებზე, განიხილეს, განიხილეს 1.066 ტონა, ანუ 26 ცენტნერი მარცვალი მიიღეს. ორგანიზებულ-ორგანიზაციული ხასიათისა. ეს ფაქტიურად ადგილობრივ საბჭოებს ანიჭებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურულ-აღმზრდელობითი ამოცანების ერთიანი ხელმძღვანელობისა და ადგილობრივი ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტივობის შეხამებას. ამ გარემოებას განსაკუთრებული აზრი ენიჭება იმ პირობებში, როცა ქვეყანაში შეიქმნა ერთიანი მძლავრი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი, როცა საზოგადოების განვითარება სულ უფრო გეგმიანი და მიზანმიმართული ხდება.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტში (მუხლები 92, 93) აღნიშნულია, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოები ხელმძღვანელობენ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა დარგს, თავიანთ საქმიანობას საფუძვლად უდებენ საკითხთა კოლეგიტური, თავაზეფალ, საქმეან განხილვასა და გადაწყვეტას, საჯაროობას, აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების ანგარიშვალდებულებას, მათს მუშაობაში მოქალაქეთა ფართოდ ჩაბმას. ხალხის ორ მილიონზე მეტი რჩეული, 30-მილიონიანი აქტივი — ეს, როგორც ვ. ი. ლენინი წინასწარმეტყველებდა, საბჭოების მიერ ხალხის ჭეშმარიტად საყოველთაო გაერთიანება. დღეს ნამდვილი სახალხო ხელისუფლების ძლავრი ფაქტორია.

17 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე გამოსვლისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა: „საბჭოები ხალხის ცოცხალი, მოძრავი, მუდმივად განახლებადი ორგანიზაციაა. ისევე როგორც თავის დროზე მათ შეძლეს საერთო კალაპოტი წარემართათ მასების რევოლუციური მოძრაობა, მათი მეცადინეობა სოციალიზმის მშენებლობაში, ისე ახლაც, მომწიფებული სოციალიზმის პირობებში. საბჭოების მუშაობაში შესისხლხორცებული უნდა იყოს ბრძოლა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, პარტიის მიერ დასახული ფართო სოციალური პროგრამის შესრულებისათვის, ჩვენი სოციალისტური დემოკრატიის ყველა მხარის განვითარებისათვის, ესე იგი კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტისათვის“. საბჭოებისადმი ეს ვეფერი და ბრძნული დამრიგებლური სიტყვები გამოხატავს უახლოესი წლებისათვის მათი საქმიანობის ზუსტ პროგრამას.

საბჭოთა სოციალისტური წარმომადგენლობის განმასხვავებელი ნიშანი ყოველთვის იყო საბჭოების რეალური კონტროლი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების საქმიანობისადმი. მოვიყვან მის დამახასიათებელ მხოლოდ რამდენიმე ციფრს. მაგალითად, 1976 წელს ადგილობრივი საბჭოების სესიებზე ანგარიში ჩაბარა ყველა აღმასკომის საერთო რიცხვის 99,5 პროცენტმა, ამდენივე აღმასკომმა უშუალოდ მოსახლეობას ჩააბარა ანგარიში. პრაქტიკაში ფართოდ დანერგილია დეპუტატთა შეკითხვების განხილვა. მარტო 1976 წელს საბჭოების ყველა რგოლის დეპუტატებმა შეიტანეს 73 ათასზე მეტი შეკითხვა, რომელთა დიდ უმრავლესობას პასუხი გაეცა სესიებზე, განიხილეს, განიხილეს 1.066 ტონა, ანუ 26 ცენტნერი მარცვალი მიიღეს. ორგანიზებულ-ორგანიზაციული ხასიათისა. ეს ფაქტიურად ადგილობრივ საბჭოებს ანიჭებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურულ-აღმზრდელობითი ამოცანების ერთიანი ხელმძღვანელობისა და ადგილობრივი ინიციატივის უფლებას. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ უფლების მინიჭებას მშრომელთა მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის მათი საერთო-საკავშირო ორგანოების სახით.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის ძირითადი ნორმები, რომლებიც ახასიათებენ საბჭოების დებულებას, საშუალებას იძლევიან სრული რწმენით ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობაში იწყება თვისებრივად ახალი ეტაპი. იგი განაპირობა საზოგადოებრივი განვითარების მთელმა მიმდინარეობამ, მნიშვნელოვანწილად დაკავშირებული სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივი გაღრმავებისა და სრულყოფისათვის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიდინარე მუშაობასთან.

„ჩვენი კონსტიტუცია გვიჩვენებს სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში ხალხის თართო მასების მუდმივად მზარდი რეალური მონაწილეობის მრავალფეროვან ფორმებსა და უდიდეს გაქანებას, რაც უცხოა ბურჟუაზიული ქვეყნებისათვის, სადაც სინამდვილეში მმართველია მხოლოდ „კაპიტალისტთა მცირერიცხოვანი კლასი“, — თქვა ლენინმა ილიას ძე ბერეზნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე.

სოციალისტური სახალხო ხელისუფლების უდავო უპირატესობა განსაკუთრებით მკაფიოდ ელინდება თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გამეფებული მძიმე კრიზისული მოვლენების ფონზე, დასავლეთში გაძლიერებული იდეურ-პოლიტიკური კრიზისი მოიცავს ხელისუფლების ინსტიტუტებს, მათ შორის პარლამენტის მექანიზმს, არყევს ზნეობრივ ნორმებს, ახასიათებს სულ უფრო აშკარა კორუფცია, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების მუდმივი ხელყოფა.

ამის საოარაკ კონტრასტს წარმოადგენს მდგომარეობა სოციალისტურ სახელმწიფოებში, სადაც ზრუნავა დემოკრატიული ინსტიტუტების მუდმივი სრულყოფისათვის, ადამიანის ფართო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების გარანტიების განმტკიცებისათვის უმაღლესი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების უპირველესი ყურადღების საგანია, სადაც თვით მშრომელები წყვეტენ, როგორი უნდა იყოს ქვეყნის ძირითადი კანონი!

ყველას კარგად ახსოვს წლებანდელი ადგილობრივი საბჭოების არჩევნები, რომელიც გაიმართა უდიდესი პოლიტიკური ოპოზიციის, ამომრჩეველთა მაღალი აქტივობის ვითარებაში. საკმარისია ითქვას, რომ უკვე დღის 12 საათისათვის ხმა მისცა ამომრჩეველთა 87,44 პროცენტმა, რაც მრავალი წლის მანძილზე უმაღლესი მაჩვენებელია. სულ კი არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა 99,98 პროცენტი. ხმა მისცეს რა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, საბჭოთა ადამიანებმა ყველა დაადასტურეს, რომ ერთსულოვნად იწონენენ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებს, ესწრაფვიან წარმატებით შეასრულონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი, მეათე ხუთწლედის დავალებანი, მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი. ცხადყვეს პარტიისა და ხალხის მონოლითური შეკავშირება.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია იქნება დიდი ნაბიჯი სოციალისტური დემოკრატიზმის სრულყოფაში, კიდევ უფრო აამაღლებს სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლს საზოგადოების ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხთა გადაწყვეტაში. ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონის პრაქტიკულად განხორციელება საშუალებას მისცემს მილიონობით მშრომელს კიდევ უფრო აქტიურად ჩაებან ქვეყნის მართვაში. (საკვლევი).

ლაგოდეხელთა გარჯის ნაყოფი

▲ ალოგა დამთავრდა ▲ გადამეტებით შესრულდა ნაწვერალის თესვისა და გოსტნეულის დამზადების დავალებები ▲ ეს დღეები თამგაკოს პლანტაციებზე

გვესაუბრება საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველი მდივანი ლ. კიბაბიძე.

□

რაიკომის ბიუროზე რამდენჯერმე ვიმსჯელეთ მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღების შესახებ. ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუფერეთ, ტექნიკისა და მოშახელის რაციონალურად გამოყენებით, პურეულის მოსავლის აღება შემჭიდროებულ ვადებში უნდა დაგვემთავრებინა. მიუხედავად ეძისა, რომ ჩვენს მინდვრებში ხშირად წვიმდა, კომბაინერებს უჭირდათ მანევრირება და მკა, მიანც მოვახერხეთ და თავთავიანების ალოობა უდანაკარგოდ, მოკლე დროში დავამთავრეთ.

„კომუნისტის“ მკითხველებმა კარგად იციან, რომ ფონის კოლმეურნეობის მინდვრებში მკა ჩაიშალა დაგვიდა, ცდებოდა ტექნიკა. ამ ფაქტზე რაიკომის ბიუროს ადგილზეა ამსჯელა თავის გამსჯელელ სხდომაზე. კოლმეურნეობის თავმჯდომარე რაიკომის რჩევით გადაირიგეს. სხვა ამხანაგებიც სათანადოდ დასაჯეს. ასეთი ღონისძიების მიღება რაიონის სხვა კოლეგურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტებისათვის კარგი მაგალითი იყო, რამაც ნაყოფი გამოიღო. მოსავალი დროზე ავიღეთ.

კომბაინერთა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის, მკის ჯგუფური მეთოდის დანერგვითა და დაინტერესების პრინციპის გამოყენებით ჩვენი რაიონის ბეკრმა სახოგადოებრივმა მეურნეობამ კარგი მოსავალი მიიღო. ლაგოდეხის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ე. დუკმასოვი, პარტბიუროს მდივანი ი. გოზალიშვილი, აგრონომი ნ. ცაბუტაშვილი) 410 ჰექტარზე აიღო მოსავალი და 1.066 ტონა, ანუ ჰექტარზე 26 ცენტნერი მარცვალი მიიღო. შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ (თავმჯდომარე ი. ნანობაშვილი, პარტბიუროს მდივანი ბ. სარალიძე, აგრონომი გ. ხუციშვილი) 650 ჰექტარზე ორგანიზებულად აიღეს მოსავალი და 1.274 ტონა, ანუ საშუალოდ ჰექტარზე 19,6 ცენტნერი მარცვალი მიიღეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ წლიურს უამინდობის პირობებში რაიონში 8.512 ჰექტარი ყანები 13 საჰექტარ დღეში ავიღეთ და ჰექტარზე 16,7 ცენტნერი მოსავალი გავლეწეთ. სულ მიღებულია 12.777 ტონა პურეული.

83 კომბაინი მუშაობდა ჩვენს მინდვრებში. საგარეკოლოგიოთა მაგალითია გამოვიყენეთ. სხვა რაიონების ტექნიკა არ დაგვჭირვებია. მკის პარალელურად მიწას ნამკალაგან ვასუფთავებდით და სანაწვერალო კულტურებს ვთესავდით. 3.000 ჰექტარის ნაცვლად დავთესეთ 3.114 ჰექტარი. 1.000 ჰექტარი კიდევ დაითესება და ამით ჩვენს პირუტყვს უზვად ექნება წვნიანი საკვები — სილოსი.

ალოობასთან ერთად დიდ ყურადღებას ვაქცევთ მიბოსტნეობას, მოვენახეობას, მეთამბაქოეობას. რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ქმედითი ღონისძიებების შედეგად თამბაქოსა და ყურძნის წარმოების გეგმებს გადამეტებით შევასრულებთ. საიუბილეო წელს სახელმწიფოს 4.450 ტონის ნაცვლად 6.002 ტონა ბოსტნეული მივყიდეთ. წლიური გეგმა 134,4 პროცენტით შესრულდა. წინა, მეცხრე ხუთწლედში მთლიანად დამზადებულის ნახევარზე მეტი მარტო წლიურს დავამზადეთ. ბოსტნეულის დამზადება გრძელდება.

ახლა სწრაფად იწმინდება პურეული და სახელმწიფო ბიღლში გეზიდებით. დამზადებულია 2.900 ტონამდე მარცვალი. გეგმა-დავალებას მალე შევასრულებთ.

ხუთწლედის აღმავიანები

ნარმატებით დაამთავრა 1977 წლის პირველი ნახევარი და ახალი ენერგიით განაგრძობს შრომას თბილისის საინსტრუმენტი ქარხნის კოლექტივი, რომელმაც თავი გამოიჩინა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის საწარმოთა შორის დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. წლის დასაწყისიდან აქ გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 267 ათასი მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

სურათზე: ქარხნის მოწინავე მუშების ჯგუფი. მარცხნიდან — მლესავები ვ. ჭანკოტაძე, ი. კვანტალიანი, ზ. რიბაკონი, მხეხავი ლ. კვიტინსკაია, მტვერსრავი ნ. კაკულია, მხეხავი ნ. ნოვოსელცევი და მლესავი გ. ვარდანაშვილი.

ს. პილაძის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

თათბირი საყოველთაო-სახალხო განხილვის პირველი შედეგების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა პრესის, ტელევიზიის, რადიოს მუშაკთა, რესპუბლიკის იდეოლოგიური დაწესებულებების, საქართველოს პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელთა, საქართველოში ცენტრალური გაზეთების საკუთარ კორესპონდენტთა თათბირი, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების საყოველთაო-სახალხო განხილვისა და შესწავლის მიმდინარეობის პირველ შედეგებს.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის გამგის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილის ნ. კომახიძის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების სექტორის გამგის ა. სანგლიძის, ამავე განყოფილების პროპაგანდისა და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სექტორის გამგის ე. სიხარულიძის, თბილისის საწარმო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ პარტიული კომიტეტის მდივნის ო. თოლორაიას ინფორმაციები.

თათბირზე აღინიშნა, რომ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა და შესწავლა მიმდინარეობს უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში და რესპუბლიკის ყველა პარტიული ორგანიზაციის იდეოლოგიური მუშაობის ყურადღების ცენტრშია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმის გადაწყვეტილებების შესაბამისად რესპუბლიკაში შეიქმნა 4.000-მდე მოკლევადიანი სკოლა, რომელთა 150 ათასი მსმენელი სწავლობს სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმის მასალებს, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას. ზეფუნვალდებულია საბჭოებსწინაშე და ექვემდებარება მათს კონტროლს. დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი მოქმედებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურულ-აღმზრდელობითი ამოცანების განხორციელების პროცესში, უზრუნველყოფს ერთიანი ხელმძღვანელობისა და ადგილობრივი ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტივობის შეხამებას. ამ გარემოებას განსაკუთრებული აზრი ენიჭება იმ პირობებში, როცა ქვეყანაში შეიქმნა ერთიანი მძლავრი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი, როცა საზოგადოების განვითარება სულ უფრო გეგმიანი და მიზანმიმართული ხდება.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტში (მუხლები 92, 93) აღნიშნულია, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოები ხელმძღვანელობენ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა დარგს, თავიანთ საქმიანობას საფუძვლად უდებენ საკითხთა კოლეგიტური, თავაზეფალ, საქმეან განხილვასა და გადაწყვეტას, საჯაროობას, აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების ანგარიშვალდებულებას, მათს მუშაობაში მოქალაქეთა ფართოდ ჩაბმას. ხალხის ორ მილიონზე მეტი რჩეული, 30-მილიონიანი აქტივი — ეს, როგორც ვ. ი. ლენინი წინასწარმეტყველებდა, საბჭოების მიერ ხალხის ჭეშმარიტად საყოველთაო გაერთიანება. დღეს ნამდვილი სახალხო ხელისუფლების ძლავრი ფაქტორია.

17 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე გამოსვლისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა: „საბჭოები ხალხის ცოცხალი, მოძრავი, მუდმივად განახლებადი ორგანიზაციაა. ისევე როგორც თავის დროზე მათ შეძლეს საერთო კალაპოტი წარემართათ მასების რევოლუციური მოძრაობა, მათი მეცადინეობა სოციალიზმის მშენებლობაში, ისე ახლაც, მომწიფებული სოციალიზმის პირობებში. საბჭოების მუშაობაში შესისხლხორცებული უნდა იყოს ბრძოლა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, პარტიის მიერ დასახული ფართო სოციალური პროგრამის შესრულებისათვის, ჩვენი სოციალისტური დემოკრატიის ყველა მხარის განვითარებისათვის, ესე იგი კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტისათვის“. საბჭოებისადმი ეს ვეფერი და ბრძნული დამრიგებლური სიტყვები გამოხატავს უახლოესი წლებისათვის მათი საქმიანობის ზუსტ პროგრამას.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან საქართველოს პროფსაბჭო და ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციები, რესპუბლიკის ულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი.

მუშაობა გააქტიურეს პრესამ, ტელევიზიამ და რადიომ. სისტემატიურად ქვეყნდება და გადაეცემა თეორიული მასალები სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის დებულებათა ახსნა-განმარტებისათვის, შემოღებულია საყოველთაო-სახალხო განხილვის პროცესში რესპუბლიკის მშრომელთა გამოხმაურებების, წინადადებების, შენიშვნების, დამატებებისა და მათ მიერ გამოთქმული სურვილების სპეციალური რუბრიკები.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის, პროპაგანდისა და ახსნა-განმარტების თანამედროვე ეტაპის კონკრეტული ამოცანებისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის მზადების შესახებ თათბირზე ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. სირაძემ.

(საქინფორმი).

13 ივლისი

„პრავდის“ ფურცლებზე

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვამ მასების უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობა გამოიწვია, და ეს აქტიურობა სულ უფრო იზრდება. იგი გაჯერა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების აღმავლობის მძლავრი ფაქტორი, გაუღვიძა მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას ახალი შემოქმედებითი ძალები, ინიციატივა, ფრთა შეასხა სკკპ XXV ყრილობის მიერ მიღებული ეროვნული ეკონომიკის განვითარების ოცდაათწლიანი გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში. სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად.

შრომის დისციპლინის, მისი დიდი ნაყოფიერების უპირველესი ქომაგები, წერს „ზეთი მოწინავეები („მოვალეობა და ღირსების საქმე“), კომუნისტები უნდა იყვნენ, მათი იდეურ-პოლიტიკური წრთობის, პარტიული ღირსებების უმნიშვნელოვანესი საზომია კეთილსინდისიერი, ნამდვილად კომუნისტური დამოკიდებულება საქმისადმი. ისინი მოვალენი არიან ნებისმიერ კოლექტივში, ჩვენი მშენებლობის ყოველ უბანზე გვიჩვენებდნენ კონსტიტუციის პროექტში ჩამოყალიბებული მოთხოვნების უნადო შესრულების მაგალითს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და მოვალეობების, სამშობლოს წინაშე მათი შრომითი ვალის ფართო და საფუძვლიან ახსნა-განმარტებას. ყველა პარტიული ორგანიზაციის ამოცანაა საბჭოთა ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს ჩაუნერგონ და განუვითარონ შრომის ხიყვარული და პატივისცემა, დარაზმონ ისინი ახალი მიღწევებისათვის.

ორმოცი წლის წინათ, 1937 წლის 12 ივლისს დაიწყო ავიაციის ისტორიაში მეორე ადგფრენა ჩრდილოეთ პოლუსის გავლით ამერიკაში. ამ თვითმფრინავის ეკიპაჟის მეთაური, რომელმაც მაშინ შორი ფრენის აბსოლუტური რეკორდი დაამყარა, იყო საბჭოთა კავშირის გმირი მიხეილ მიხეილის-ძე გრომოვი.

ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკის მ. მ. გრომოვის ცხოვრებას გაუზვიადებლად შ

დავამკვიდროთ მუშაობის ლენინური სტილი!

დამაფიქრებელი აუჩქარებლობა

ზესტაფონის რაიონის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებიდან

ვაბეზღებთ ინსტრუქციას

I.

დრო, მიზანი და უნარი

მეხუთე წელია, რაც საქართველოში შეუპოვარი და შეურიგებელი ბრძოლაა წლების მანძილზე ფესვგამდგარ სიმახინჯეთა წინააღმდეგ... მეხუთე წელია, რაც რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია მტკიცედ, დაუინებით, თანმიმდევრულად ამკვიდრებს ჩვენი შრომისა და ყოფის ყველა უბანზე მუშაობის ნამდვილად პარტიულ, ლენინურ სტილს.

და ის გულგახეხარი ცვლილებანი, რომლებიც უკანასკნელ ხანს ესოდენ თვალსაჩინო გახდა ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების სიტყვებით რომ ვთქვათ, „პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების არსებითად გაუმჯობესების, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული შეკავშირების, მასებთან მისი კავშირის განმტკიცების შედეგი“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დროული და პრინციპული ღონისძიებანი, ღრმა და დაკვირვებული ანალიზით შემუშავებული რეკომენდაციები ყველა დარგს და ყველა უბანს მისწვდა და, ბუნებრივია, მისი კეთილი გავლენა ყველაზე უკეთ უნდა ჩანდეს, იგრძნობოდეს ისეთი რაიონის მაგალითზე, რომელსაც აქვს მსხვილი მრეწველობაც და მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობაც, მრავალი კულტურული, საგანმანათლებო, სავაჭრო დაწესებულება და საყოფაცხოვრებო მომსახურების ფართო ქსელი...

სწორედ ასეთია ზესტაფონის რაიონი.

ყველასათვის ცნობილია, რომ აქ დაირწა ქართული მეტალურგიის აკვანი. ოთხი ათეული წლის წინათ აგიზგიზებული პირველი ღუმელი ალავ დღელამე, შეუსვენებლივ უშვებს ლითონის ნიაღვარს და პირველ ხუთწლედებში პირობითად „ფეროგიგანტად“ წოდებული საწარმო ნამდვილ გიგანტად იქცა. მეტალურგობა აქაურთა პირველი პროფესიაა, მაგრამ არანაკლებ სიამაყით ლაპარაკობენ თავიანთ პროფესიებზე კაბელის, ელექტროელემენტის, ცეცხლგამძლე ნაწარმის, ელექტროიონურ ხელსაწყოთა, ქიმიური, კვების მრეწველობის, სამკერვალო ფაბრიკისა და სხვა საწარმოთა კოლექტივების წარმომადგენლები.

აქაურ ადამიანებზე რომ წერო, საქებარ სიტყვებს რა გამოლევს. სოციალისტური შრომის გმირები, ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული ვეტერანები, საამაყო გამოჩენა ახალგაზრდობა და, ბოლოს, 5 ათასიანი რაიონული პარტიული ორგანიზაცია — აი ულიდესი ძალა, რომლის ჯეროვანი დარაზმვით, უნარიანი გამოყენებით შეუძლებელიც კი შესაძლებელად იქცევა.

ზესტაფონელი მშრომელებიც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გულმხურვალედ, გულწრფელი კმაყოფილებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ახლა აქ დიდი ყურადღებით განიხილავენ ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონის — ახალი კონსტიტუციის პროექტს, რასაც მჭიდროდ უკავშირებენ დიდი ოქტომბრის მოახლოებულ მე-60 წლისთავისადმი ღირსეულად შეხვედრას, ჩვენი პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლას.

და აი ამ დღეებში ზესტაფონს ეეწვიეთ იმ განზრახვით, რომ გაეცნობოდით საქართველოს კომპარტიის მეხუთე პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მებრძოლი მიმდინარეობას და „კომუნისტის“ მკითხველებისათვის მოგვეთხრო რაიონული პარტიული ორგანიზაციის, მისი შტაბის — პარტიის რაიკომის მუშაობის იმ კონკრეტულ და პრაქტიკულ ღონისძიებებზე, რომლებიც ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისა და პარტიული, სახელმწიფო, შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის ხორციელდება.

როცა ზოგად ციფრებს, საერთო მდგომარეობას ეცნობით, უკმაყოფილო არ რჩებით, რადგან როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობის ბევრ წამყვან დარგში გეგმები ცოდად როდი სრულდება. სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მეცხრე ხუთწლიანი გეგმა აქ 101 პროცენტით შეასრულეს, შარშანდელი და წლევანდელი 6 თვის გეგმებიც გაანაღდეს — წელს დავალების გადამეტებით ქვეყანას მისცეს 1.578 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. გადაჭარბებით შესრულდა ხორცისა და რძის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

ნამდვილად ხელოვანიანი იყო რაიონის შევიწაეებისათვის შარშანდელი წელი, როცა სახელმწიფოს 25,214 ტონა ყურძენი მიჰყიდეს, გეგმით ნავარაუდევზე 4.214 ტონით მეტი.

რა თქმა უნდა, დაუნაზობა იქნებოდა არ გვთქვა ისიც, რომ განსაკუთრებით შარშან და წლევანდელ, როგორც პარტიის რაიკომი, ისე რაისაბჭოს აღმასკომი მეტ ყურადღებას იჩენენ იმ მწვავე პრობლემებისადმი, რომლებიც აშკარად ჩანს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში, მშენებლობებზე, ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. რამდენადმე გაუმჯობესდა ადამიანებთან ურთიერთობის ფორმები, ბევრი რამ გაკეთდა პარტიული, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის, სოციალისტური კონნიერების დაცვისათვის. მაგრამ **რაც უფრო ახლოს ეცნობი საქმეს, უფრადღებით აკვირდები ციფრებს და ღრმად სწვდები, ერთი შეხედვით, დამაკმაყოფილებელ საერთო მონაცემებს, რწმუნდები, რომ ზესტაფოფნში სათანადოდ ვერ იყენებენ მეტად მდიდარ რეზერვებსა და შესაძლებლობებს, რომ აქ ინიციატივა, აზლისაკენ სწრაფვა, პერსპექტიული მუშაობა ჯერაც არ ქცეულა პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკთა ყოველდღიურ მოთხოვნილებად.**

პარტიის რაიკომში, მის განყოფილებებში, რაისაბჭოს აღმასკომსა და სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოში ჩვენ ვნახეთ საინტერესო ინფორმაციული მასალა, სტატისტიკური მონაცემები, მოხსენებითი ბარათები, რომლებიც საფუძვლად დაედო პარტიის რაიკომის პლენუმებსა თუ რაისაბჭოს სესიებზე ცალკეული საკითხების განხილვას. წარმოებაში ინერგება წლეულს მარტში გამართული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის რეკომენდაციები, რომლებიც ფეროშენადნობთა ქარხნებში ჭიათურის ღარიბი მადნებისა და მდიდარე ყვირილადან მანგანუმის ნაღლების გამოყენების საკითხს მიეძღვნა.

მაგრამ ასეთი კანტიკუნტი ღონისძიებანი მდგომარეობას არსებითად ვერ ცვლის, რადგან ხშირად პარტიის რაიონული კომიტეტის და, ალბათ, მისი მიბაძვით, სხვა რაიონული ორგანიზაციების გადაწყვეტილებანი ნაჩქარევია, ისინი თითქოს ვალს მოხდის მიზნით არის მიღებული და მაშინაც კი, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის შედეგები განიხილეს, მეცხოველეობის თაობაზე დადგენილების ნაწილი მხოლოდ ერთ მუხლს მოიცავს, სადაც ზოგადად არის ნათქვამი, რომ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებანი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვისო. არც ერთი კონკრეტული აზრი, არც ერთი პრობლემა!

ასევე ერთმუხლიანი დადგენილებაა მიღებული დისციპლინის საკითხზეც, სადაც მარტო ის არის ნათქვამი, რომ ქმედითი ღონისძიებანი განხორციელდეს სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის რუსთაველ მეტალურგთა ინიციატივის გასავრცელებლად.

ბიუროს ეს სხდომა წლეულს, 22 მარტს გაიმართა, რუსთაველთა ინიციატივიდან ცხრა თვის შემდეგ. ხომ არ აჯობებდა, დადგენილებაში ინიციატივის გავრცელებისათვის მარტო მოწოდება კი არ ყოფილიყო, არამედ ის, თუ რატომ სათანადოდ ვერ დაუჭირეს მხარი ამ კარგ წამოწყებას რაიონის ყველა შრომით კოლექტივში, რა კონკრეტული ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს შემდგომში მტკიცე დისციპლინის დასამკვიდრებლად?

საქმისადმი მეცნიერული მიდგომა უპირველეს ყოვლისა თავს უნდა იჩენდეს სწორ, პერსპექტიულ დაგეგმვაში. ჩვენ კი დიდხანს დავყურებდით დოკუმენტს — **„საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ზესტაფონის რაიონში სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისა და მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა გეგმას“** და გაკვირვებას დღესაც ვერ ვფარავთ: ნუთუ ეს პერსპექტიული მუშაობაა, ხუთუ საკითხს მეცნიერული სიზუსტით მიუდგნენ და ის დაადგინეს, რომ მთელ რაიონში ძროხის ხორცის წარმოება 1978 წლისათვის 217 ტონამდე გაიზრდება, 1979 წელს — 218, (ე. ი. 1 ტონით), ხოლო 1980 წლისათვის 220 ტონამდე?! (ე. ი. 2 ტონით).

თუ კი „განვითარების“ ასეთი ტემპია აღებული, მაშ იმავე გეგმით რატომ ითვალისწინებენ, რომ სწორედ „1978-79 წლებში ერთდროული სუქესისათვის სოფელ მეორე სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე აშენდება 1000 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სადგომი“? ან რას ნიშნავს მათი პირობა, რომ ამ ხუთწლედში ყოველწლიურად პირუტყვის სადღეღამისო წონამატებს 550-600 გრამამდე გაზრდიან?!

ასეთი კითხვები უხვად დაგებადათ სხვა დოკუმენტების გაცნობის დროსაც. აი როგორი კორექტივი შეიტანეს მიმდინარე ხუთწლედის გეგმაში: ბოლო, 1980 წლისათვის ნავარაუდევ 1200 ტონა ბოსტნეულის დამზადებაზე ახლა უარს ამბობენ და მხოლოდ 400 ტონას გვპირდებიან.

წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ და კვლავაც გვინდა გავმეოროთ, რომ შარშანდელი ყურძნის კარგი მოსავალი ზესტაფონელ მშრომელთა გარჯის, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ეფექტიანი ღონისძიებების შედეგია. მოსალოდნელი იყო, რომ დასახული იქნებოდა უფრო დიდი რეალური საბრძოლო გეგმები, მაგრამ თავი იჩინა თვით მიღწეულის შემცირების არასწორმა ტენდენციამ, ითამბირეს, იანგარიშეს და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ წლეულს, დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელს, შარშანდელივით ჰექტარზე საშუალოდ 50 ცენტნერი ყურძენი კი არ მოკრიფონ, არამედ ბევრი-ბევრი 39 ცენტნერი და კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან მთლიანმა მოსავალმა 7.500 ტონა უნდა შეადგინოს. შარშანდელი დონის მიღწევას არც გაისად ფიქრობენ.

შეიძლება ზესტაფონელებს არა აქვთ წინსვლის რეზერვები? დავეთანხმოთ ამაში, რომ აქ საეჭვოა ფართობი ცოტაა.

როგორც სპეციალისტები ანგარიშობენ, რაიონის ზვრებს 1.230 ათასი ვაზი აკლია, ეს კი 300 ჰექტარს შეადგენს. თუ შარშანდელი მოსავლის მიხედვით, ჰექტარზე საშუალოდ 50 ცენტნერს ვიანგარიშებთ, გამოდის, რომ ყოველწლიურად მარტო ამ გზით ათას ხუთას ტონა ყურძენს კარგავენ.

ეტყობა, პარტიის ზესტაფონის რაიკომი როგორც ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობაში, ისე პარტიულ-ორგანიზაციულ და პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში ყოველთვის ვერ იყენებს მეცნიერულ რეკომენდაციებსა და დასკვნებს, კომუნისტთა ფართო მასების წინადადებებსა და სურვილებს. ჯერ კიდევ სუსტია შინაპარტიული ინფორმაცია, განსაკუთრებით კი ინფორმაცია ქვემოდან. ღრმად დასაბუთებული, უფრო პრაქტიკული და ქმედითი ღონისძიებების მიღებას კი მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ის, რომ პარტიის რაიკომთან მოქმედებდეს საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი კომისია ან ჯგუფი.

II.

უპასუხისმგებლობა. უკონტროლობა

რაიონში რომ ჩავედით, პრეველსავე დღეს პარტიის რაიკომის პირველ მდივანს ამხ. **ბ. მერკვილაძეს** მის სამუშაო კაბინეტში შევხვდით. ის-ის იყო კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებთან თათბირი დაემთავრებინა და რაიკომში მოწვეულ საშუალო სკოლების პიონერხელმძღვანელთა შეხვედრისათვის ემზადებოდა.

— ოჰ, ეს თათბირები... — გულწრფელად გამოხატა თან თავიდან უკმაყოფილება, — რამდენ დროს გვართმევს! არადა, მოძალებული საქმე მოითხოვს... თვითონ განსაჯეთ, უამრავი სამუშაო დაგვროვდა ქალაქად თუ სოფლად...

მისი საუბრიდან შევიტყეთო, რომ სამშაბათობით საღამოს საათებში, როგორც წესი, თათბირებზე იწვევენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებსა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, სოფლტექნიკის რაიონული განყოფილების, წყალთა სასისტემო სამმართველოს, დამზადების ინსპექციის ხელმძღვანელებს, აგრეთვე პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის წევრებს, რომლებიც დასახმარებლად მეურნეობებზე არიან მიმაგრებულნი. სოფლის მეურნეობის სამმართველო (უფროსი **თ. ქავთარაძე**) ორშაბათობით აწყობს სამმართველოში მომუშავე სპეციალისტთა თათბირს, მათთანვე თათბირი ეწყობა სამშაბათობით დილის საათებში რაისაბჭოს აღმასკომში (თავმჯდომარე **ზ. ფერაძე**) სამმართველოშივე თვეში ერთხელ იმართება რაიონის სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა თათბირ-სემინარი... ამას დაუმატეთ ცალკეული სამუშაოების მიხედვით ოპერატიული თათბირები, პარტიის რაიკომის ბიუროსა და რაისაბჭოს აღმასკომის სხდომებზე საკითხების განხილვა და, ბუნებრივია, სამსართულიან აღმინისტრაციულ შენობაში, სადაც პარტიის რაიკომი, რაისაბჭოს აღმასკომი და სოფლის მეურნეობის სამმართველოა განლაგებული, მეტად იშვიათია უთათბირო დღე.

ჩვენი ყურადღება იმანაც მიიქცია, რომ მთელი კვირის განმავლობაში პარტიის რაიკომის თითქმის ყველა ინსტრუქტორი ადგილზე იყო. თუმცა მათ თქვეს, სწორედ ამ კვირაში მოგვეკითხა ისეთი საქმე, რისთვისაც ჩვენი აქ ყოფნა აუცილებელი იყოო.

რა საქმეებით ადიტეირთნენ რაიკომის პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც უმეტეს დროს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, შრომითს კოლექტივებში უნდა იყვნენ? აღმოჩნდა, რომ ამ კვირაში რაიკომის შენობაში მათი თავაუღებელი მუშაობის მიზეზი სხვადასხვაგვარი სტატისტიკური ანგარიშების, ცნობების შედგენა, თათბირებისა და ბიუროსათვის მოწვეული ამხანაგების გამოძახება იყო. ასეთი დღეები კი, როგორც ჩანს, იშვიათი როდია.

რა თქმა უნდა, როგორც თათბირები და სხდომები, ისე სტატისტიკური მონაცემები და სხვადასხვაგვარი ცნობები საჭიროა, მაგრამ როგორ შევამციროთ, როგორ შევამჟღეროვოთ ისინი, რომ ადამიანებს მეტი დრო ჰქონდეთ ცოცხალი, პრაქტიკული მუშაობისათვის?

ეს საერთო საზრუნავია და ამ პრობლემის გადასაჭრელად ახლა ყველგან ეფექტიან გზებსა და საშუალებებს ეძებენ. საამისოდ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას ცდილობენ პარტიის ზესტაფონის რაიკომშიც. მაგალითად, ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ზოგიერთი საკითხი რაიკომის პასუხისმგებელი მუშაკების ადგილზე მისვლით გადაწყდა. იმ მიზნით, რომ მშრომელებს, კომუნისტებს სხვადასხვა საქმის გარკვევისათვის ბევრი დრო არ დაეკარგოთ პარტიის რაიკომში სიარულით, ბიუროს წევრება უკანასკნელ ხანს უშუალოდ შრომითს კოლექტივებშიც აწყობენ მათს მიღებას. **მაგრამ პარტიის რაიკომმა რომ სერიოზულად დახვეწოს, გაიუმჯობესოს მუშაობის სტილი და მეთოდები, დიდად გააქტიუროს თავისი ძალები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, — ნაკლებად ჩანს.**

ცხოვრებამ არაერთგზის დაადასტურა, რომ პარტიული ხელმძღვანელობის სტილი მეტად ნათლად და ცხადად მოჩანს კადრებთან მუშაობის ფონზე.

მაგრამ კადრების შერჩევის დროს ყოველთვის როდია დაცული პრინციპულობის, ობიექტურობის პრინციპი, ხოლო მათ სწავლებასა და აღზრდას მუდამ როდი ეხამება მკაცრი მომთხოვნელობა, ჯეროვანი კონტროლი.

შარშან მაისში კვალითის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **გ. ჯანნაშვილი** შემსყიდველი კომისიის თანხლებით ოხის რაიონის საკოლმეურნეო ბაზას ეწვია. აქ კერძო პირებისაგან ვითომდა მაღალპროდუქტიული ძროხები შეიძინეს, თითოეულში 900 მანეთიდან 1400 მანეთამდე გადაიხადეს, სულ მაღე კი გამოირკვა, რომ საკოლმეურნეო თანხა ჯანდაგ პირუტყვში გადაუყრიათ. სოფელში იმასაც კი ამბობდნენ, ამ საქმეზე „ხელი მოიბანესო“. სხვადასხვა ინსტანციაში საჩივრების ნაკადიც წავიდა.

ყველა ფიქრობდა, რომ გ. ჯანნაშვილი და ოხის საკოლმეურნეო ბაზრობაზე მისი თანამგზავრნი საკოლმეურნეო თანხის უაზრო ხარჯვისათვის სასჯელს მიიღებდნენ. მაგრამ წლეულს თებერვალში — იგი კოლმეურნეობის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე „მშვიდობიანად“ გადაირჩინეს და არგვეთის მეგვინახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილედ დანიშნეს, ყოფილი მოადგილე რ. გურული კი მის ნაცვლად კვალითში აირჩიეს სოფლის თავკაცად. ადგილების გაცვლის ამ ოპერაციით დამთავრდა ყველაფერი და არავინ დაინტერესებულა საქმის ობიექტური განსჯით.

გ. დარსალიას, პროფესიით ეკონომისტს, სახელმწიფო ბანკში მუშაობის საკმაო პრაქტიკა აქვს. და აი, ერთ დღეს პარტიის რაიკომმა გადაწყვიტა ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა გაერთიანების გენერალურ დირექტორად მისი დაწინაურება, თუმცა ახალმა დირექტორმა დიდხანს ვერ შეინარჩუნა ეს პოსტი. შარშან 30 მაისს, პარტიის რაიკომის ბიურომ იმსჯელა ადგილობრივი მრეწველობის გაერთიანებაში შექმნილ მდგომარეობაზე და საწარმოს საქმიანობისადმი არასათანადო ხელმძღვანელობისათვის, რამაც განაპირობა სხვადასხვა დარღვევები და ნაკლოვანებანი“ გ. დარსალიას გამოუცხადა სასტიკი საყვედური საჯაროდ ცხოლობთ შეტანით. გენერალური დირექტორის პოსტზე მისი დატოვება მორალურად აღარ შეიძლებოდა. საჭირო გახდა ახალი სპპტაო სავარძლის მოძებნა. მოინახა კიდეც — იგი „საქონლიკარაქვეყნეგაჭრობის“ ზესტაფონის მაცივრის დირექტორად გადაიყვანეს.

— დირექტორს თუ დირექტორის პოსტი უბოძეს, არც მე წავალ სამუშაოდ მმართველის ტიტულის მქონე დაბალ თანამდებობაზეო, — ასე იმუქრებოდა რამდენიმე თვის განმავლობაში ზესტაფონის ქალაქვაჭრობის ყოფილი მმართველი **დ. გიორგაძე,** რომელიც აქედან სუსტი მუშაობისათვის გაათავისუფლეს. ახლა კი იგი „რაიკოლცხოველმრეწვის“ მმართველია.

რატომ მიდიან ამ დათმობებზე? რას ნიშნავს ასეთი პოზიცია?

პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკები კი საეჭვო, შორიდან მეთვალყურეთა როლში გამოდიან.

ლიბერალიზმი, ნაკლები მომთხოვნელობა სხვა მხრივაც ვლინდება, ხოლო ჯერჯერობით მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში უამრავი ნაკლი და ხარვეზია, ბევრი პრობლემა გადაუჭრელია.

ბოლო სამი წლის განმავლობაში სავაჭრო ქსელში მოკალათებულმა დამნაშავეებმა მასობრივად მიპყეეს ხელი სახელმწიფოს ქონების დატაცებას და შემდეგ კვალის დაფარვის მიზნით მაღაზიებში დარჩენილი ფასეულობის ხარჯებით გადაგზურეს. მარტო ქალაქვაჭრობიდან სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი ასეულ ათასობით მანეთია. ყოველივე ეს კი შეუმჩნეველი რჩებოდათ შინაგან საქმეთა განყოფილების სოციალისტური საკუთრების დატაცებისაგან დაცვისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების მუშაკებს **ს. კოვზირიძეს, ჯ. მანაგაძეს,** მაშინ როცა ისინი მაღაზიების არა მარტო ხშირი სტუმრები იყვნენ, არამედ აღწერებშიც მონაწილეობდნენ.

დამფიქრებელია ისიც, რომ დამნაშავეთა „მოღვაწეობის“ ფარდა ვერ ახადეს ვერც საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სარევიზიო-საკონტროლო სამსახურის თანამშრომლებმა და ვერც ადგილობრივმა რევიზორებმა, რომლებიც ამ ობიექტებზე მისვლას ერთმანეთს ვერ ასწრებდნენ.

ბნელით მოცული საქმეები კი მაღაზიათა შეხობებისათვის განზრახ წყაღდებული ეცეხლის ალმა გამოაჩინა.

სწორედ ამ ალმა ახლა ყველას დაანახვა ის საეჭვო გულგრილობაც, რამაც ხელფეხი გაუხსნა და მადა მოუმატა № 24 მაღაზიის გამგეს **ტ. ბარბაქაძეს** და ათითასიათასობით მანეთი გაიფლანგვინა. მან წინათ რამდენჯერმე დაარღვია ვაჭრობის წესები, თუმცა თანამდებობიდან გადაყენება ვერაკინ შეაკავრა და წლეულ იაანვარში დოკუმენტური რევიზიის დაწყებიდან შემოვიდე დღეს მაღაზიაც და შიგ დარჩენილი ფასეულობანიც ეცეხლს მისცა. ამით სახელმწიფოს 178 ათას მანეთამდე ზარალი მიაყენა. ხომ შეიძლებოდა ადრე გამოაშკარავებულიყო ტ. ბარბაქაძის დანაშაული, რომ საქვაჭრობის მმართველის ბრძანებით მისთვის შარშანდელი შეებულება სრულიად უკანონოდ ამ წლისათვის არ გადმოეტანათ და იმ ერთი თვის მანძილზე მაღაზია სხვისთვის გადაებარებინათ?

მატერიალურად პასუხისმგებელ მუშაკთა შეებულებების ასეთი უკანონო გადატან-გადმოტანა აქ წესად იმიტომ აქვიეს, რომ გადაბარებისას არ გამოჩენილიყო ბევრი სავაჭრო ობიექტის სერიოზული დანაკლისი.

ამ ორი წლის წინათ, 1975 წლის მაისში, საქვაჭრობის № 45 მაღაზიაც ეცეხლის ალმა გაიგზავნა. ხანძარმა 112 ათასი მანეთის სახელმწიფო ფასეულობანი გაანადგურა. ამ დროს მაღაზიის გამგეს **ე. ფერაძეს,** 2,6 ათასი მანეთის დანაკლისი აღმოაჩნდა. მაგრამ ვერ იქნა და ამ საქმის გამოძიებას თავი დღემდე „ვერ მოაბეს“. დამნაშავე თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ დუქანში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორ წელიწადში ხუთჯერ შეაშოწმეს ეს საავაჭრო ობიექტი, შემმოწმებლებმა ისიც კი ვერ შენიშნეს, რომ 1976 წლის ნოემბრიდან მაღაზიაში 105 ათასი მანეთის აღურიცხავი საქონელი იყო შეტანილი. ის 2,6 ათასი მანეთის საქონლის დანაკლისი კი, ფერაძეს რომ გამოუვლინეს, ხანძარს დაბრალეს და ჩამოაწერეს.

ამის შემდეგ, მკითხველო, ნუ გაგიკვირდება, რომ შარშან ნოემბერში № 12 მაღაზიის გამგემ ა. **ხუსკოვაძემაც,** რომელიც ახალგაზრდა მუშაკთა დამრიგებლად გამოჰყვეს, ეცეხლს მისცა მაღაზია, რითაც განადგურდა 126 ათასამდე მანეთის სახელმწიფო ფასეულობანი.

ასეთ კოლეგებს რაიკოოპერატივის ქსელს საქმოსნებიც არ ჩამორჩნენ.

ლილი კურპატოვა წლების მანძილზე სოფელ მეორე სვირის მაღაზიაში „მოღვაწეობდა“, მკერდს უმშვენებდა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის ნიშანი. რაიონულ ცენტრში მოთავსებულ მოწინავეთა დაფიდან მისი ფოტოსურათი საკმაოდ მოღიმარი სახით იკქიბრებოდა. ალბათ ლ. კურპატოვას ეცინებოდა იმით გულუბრყვილობაზე, რომლებმაც ესოდენ დიდად დაუფასეს „ღვაწლი“, რომ მან ჩუმ-ჩუმად 155 ათასი მანეთი გაფლანგა.

კოოპერატორებთანაც იჩინა თავი ხანძრებმა. დაიწვა ქვედა სახანოს № 60, ამავე სოფლის № 18, კოოპვაჭრობის № 3 მაღაზიები და ზედა საჭარის № 16 მაღაზიის საწყობი.

გასარკვევი და მეტად საეჭვოა ქალაქვაჭრობის ხელმძღვანელთა ის პოზიცია, თუ დღემდე რატომ ელოლიავებიან და პასუხს არ სთხოვენ № 1 სამწვადის გამგეს **გ. ბოყოჩაძეს,** რომელსაც გეგმების შეუსრულებლობისა და ვაჭრობის წესების დარღვევებისათვის 13-ჯერ აქვს მიღებული დისციპლინარული სასჯელი, მათ შორის შარშან და წლეულს — საყვედური და სასტიკი საყვედური. სხვათა შორის, შარშანწინ აქაც მოხდა ხანძარი, რის გამოც რამდენიმე ათასი მანეთის ზარალი იანგარიშეს. სასჯელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ვაჭრობის წესების დარღვევისათვის მარტო 8-ჯერ სასტიკი საყვედურით „დაიმშვენა“ პირადი საქმე № 52 მაღაზიის გამგემ **მ. კახელმა,** რომელსაც უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საქონლბრუნვის გეგმები არ შეუსრულებია. ოთხ-ოთხჯერ არიან ნასამართლევი № 31 და № 23 მაღაზიათა გამყიდველები **ლ. კაპანაძე** და **ჯ. ჭონლაძე,** ხუთჯერ ნასამართლევი **ლ. მიქაბერიძე** მაღაზია „იმერეთის“ გამყიდველია. ბოლო ორ წელიწადში საქონლბრუნვის გეგმები არ შეუსრულებათ № 4 საჩაიის, № 9 და № 26 მაღაზიების, № 12 სასადილოს და სხვა სავაჭრო ობიექტების ხელმძღვანელებს, რომელთაც 7-9-ჯერ მიიღეს სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული სასჯელი, მაგრამ ქალაქვაჭრობაში იფიქრეს, იფიქრეს, და მდგომარეობის გამოსწორებისათვის ყველაზე კარგ საშუალებად ის „აღმოაჩინეს“, რომ ამ ობიექტებს წლეულს გეგმები შეუმცირეს (?!).

საჭირო იყო პარტიის რაიკომსა და რაისაბჭოს აღმასკომს საქართველოს კომპარტიის V პლენუმის შემდეგ მაინც უფრო კრიტიკულად გადაეხედათ ამ და სხვა ფაქტებისათვის, მთლიანად გაეკეთებინებინათ სავაჭრო ქსელი, გაეგზავნათ იქ მხოლოდ პატიოსანი და უნარიანი კადრები.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ზესტაფონში ძალიან ნელა, ან ჯერჯერობით სულ არ ინერგება ვაჭრობის პროგრესული მეთოდები. თვითმომსახურეობის ძალიანაა ეს ფორმალურად ატარებენ ამ სახელს. არცერთს არა აქვს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა და დაფასოების საამქროები. ამიტომ გასაკვირი როდია, ორმ ქალაქვაჭრობის ქსელში მარშახდელთან შედარებით წლეულს ხუთი ეროვნული შემცირდა ამ პროინციპით მომუშავე მაღაზიები — 14-ის ნაცვლად 9 დარჩა. საქმიანი პასუხი და წინსვლაც ამას ჰქვია!

ძართალია ერთგვარად შემცირდა, მაგრამ ჯერ კიდევ დიდია და 1.140 ათას მანეთს ეკადგეს ზენორმატიული ხაშთი. მისი ლიკვიდაციისათვის ცოტას ფიქრობს გახყოფილებასთან ექმნილი ეკონომიკური სიბჭო. სწორედ ამ საბჭოს ფუნქციაა ჩამორჩენილი ობიექტების აქმიანობის შესწავლა, საჭირო ღონისძიებების დასახვა და საქონლეურთხეულის დაკალებათა შესრულებისათვის ზრუნვა.

მეტად სუსტია განყოფილების მატეიალურ-ტექნიკური ბაზა, 15 იანვრის შემდეგ რეკონსტრუქციის მიზეზით დაკეტილია სასუოსათო საწყობი, ქალაქში არც „საქონლეთეგზაარაქვაჭრობის“ მაცივარი მუშაობს, საძი წელია ცენტრალურ საწყობს აფართოებენ და ეს საქმე ალბათ არც წელს დამთავრდება. ასეთ პირობებში სავალდებულო ასორტიმენტით მაღაზიების რეგულიორებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჩახს, ეს ძალიან არ აწუხებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სარკმინტო-სამშენებლო სამმართველოს, რომლის გორის სამშენებლო უბანს ევალება ამ ობიექტების ეფექტურაციაში გადაცემა. კიდევ ძეტი, დაქიოავებულ ბინებშია მოთავსებული 15 საწყობი და ერთი სამეურხეო მაღაზია.

რაიკოოპერატივის სისტემაში ხშირად ადგილი აქვს სავალდებულო ასორტიმენტით წყვეტილ ვაჭრობას. უხეიროო ორგანიზაციის გაძო ზოგ მაღაზიას მუდამ არ აქვს გაყიდვაში პირველი მოთხოვნილების პროდუქტები.

არ იქნა და არ აღიკვეთა ფაესების დამახეხჯების, მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუების სამარცხვინო ფაქტები. ოოფელ ალავერდის № 74 მაღაზიის გამგეგამყიდველმა **ნ. სალაძემ** მომხმარებელს 3 მანეთი და 60 კაპიკით მეტი გადაახდევინა, მას არ ჩამორჩნენ ფუთელი დახლიდარი **ლ. მარაქელიძე,** ზედა საქარელი **ზ. გორდეზიანი** და სხვები. მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება...

დიდი დადებითი ძვრები როდი ჩანს რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაშიც. შარშან 17-დან მომსახურების 7 სახეობაში ვერ შესრულდა გეგმა. შემოწმებამ აქ სხვადასხვა სახის დარღვევების 47 შემთხვევა გამოავლინა, სერიოზული დარღვევები იყო წელსაც, ზოგ ხელოსნის 10-14 აღმინისტრაციული სასჯელი აქვს მიღებული. დარღვევებსა და დამახინჯებებს ისიც უწყობს ხელს, რომ სახელოსნოების ნაწილი კერძო პირებისაგან დაქირავებულ ბინებშია მოთავსებული. მარტო ლითონდამუშავების ხუთ საამქროში 6 ხელოსანი საკუთარი დაზგა-დანადგარით მუშაობს, მაშინ როცა წარმოების განვითარებისათვის ეძმაყოფილი თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი ასათვისებელია. გახარკული არ არის აგრეთვე მატერიალური წახალისების ფონდიდან 12,9 ათასი მანეთი.

ამ დღეებში როგორც რამდენიმე სხვა რაიონის, ისე ზესტაფონის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში არსებულ მთელ რიგ დამახინჯებებსა და ნაკლოვანებებზე იმ

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

ოთამაგონეგელი დოკუმენტი

ბათუმი, 11 ივლისი. (საქინფორმის კორ.). აქ გაიმართა აჭარის ასსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია. სესია გახსნა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დ. დიასამიძემ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილე დეპუტატებმა ხაზი გაუსვეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას მხურვალედ გამოეხმაურა ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მშრომელი. ამ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ დოკუმენტებში მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან არის განხილული ახალი კონსტიტუციის შექმნის საკითხები, შეჯამებულია დიდ ისტორიულ პერიოდში საბჭოთა განვითარების შედეგები, ყოველმხრივ არის ნაჩვენები ჩვენს სახელმწიფოსა და საზოგადოებაში ოთხი ათეულწლის მანძილზე მომხდარი უდიდესი ცვლილებანი, მოცემულია იმ ამოსავალი დებულებების თეორიული დასაბუთება, რომლებიც განსაზღვრავენ ახალი კონსტიტუციის პროექტის შინაარსსა და თავისებურებებს.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესია

□

სესიაზე აღინიშნა, რომ ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, აგრეთვე მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში მომხდარ ძირეულ ცვლილებებს კარგად ასახავს აჭარის ასს რესპუბლიკის მაგალითი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აჭარაში აშენდა ათობით სამრეწველო საწარმო. 1921 წლთან შედარებით 1970 წლისათვის პროდუქციის გამოშვება 113-ჯერ გაიზარდა. ახლა ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობა წელიწადში ქვეყანას აძლევს 390 მილიონ მანეთისაზე მეტ პროდუქციას. აჭარის საწარმოთა ბევრი პროდუქცია ცნობილია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც.

დიდად განვითარდა სოფლის მეურნეობა. აჭარა ჩაისა და ციტრუსების აყვავებულ მხარედ იქცა. აჭარელმა მეჩაიეებმა პირობა დადეს ადრე ნაკისრი ვალდებულებების გადამეტებით მოკრეფონ სამი ათასი ტონა მწვანე ჩაის ფოთოლი, მისცეს ქვეყანას წელს 54.220 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. უკვე მოკრეფილია 28.579 ტონა ჩაის ფოთოლი. მოსალოდნელია ციტრუსების, თამბაქოს, ყურძნისა და სხვა კულტურების უხვი მოსავალი. აჭარის ასს რესპუბლიკა განათლების ტროუმფის მკაფიო ილუსტრაციაა. 1921 წელს აჭარაში მოსახლეობის მესოლად 7 პროცენტმა იცოდა წერა-კითხვა, ამ დროს 38 სკოლა იყო. ახლა კი აჭარის ასს რესპუბლიკაში 426 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, რომლებშიც შვიდი ათასი პედაგოგი ასწავლის 75 ათას ბავშვს. კადრების სამკეთილოდ იქცა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, საშუალო სპეციალური სასწავლებლები და პროფტექნიკური სასწავლებლები. ამჟამად აჭარაში მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე მოდის 622 უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე ადამიანი — 457-ით მეტი, ვიდრე 1939 წელს.

აჭარის მოსახლეობის ემსახურება 500-მდე კულტურის დაწესებულება, მაშინ, როდესაც რევოლუციამდე აქ მხოლოდ ორი-სამი ასეთი დაწესებულება იყო.

დეპუტატებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება, საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი კანონის პროექტი ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებს შთააგონებენ სამშრომლოს სადიდებლად ახალი შრომითი გამარჯვებებისათვის.

სესიამ ერთსულოვნად მოიწონა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის არჩევა. სესიამ განსაზღვრა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ამოცანები ძირითადი კანონის პროექტის ახსნა-განმარტებისა და საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

სესიამ დაამტკიცა აჭარის ასსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის შემადგენლობა.

გაანვითარებული სოციალიზმის ეონაპოვარი

ახალი კონსტიტუციის პროექტი ასახავს და სახელმწიფოებრივი კანონის სახეს აძლევს იმ დიდ ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც ჩამოყალიბდა ჩვენს ქვეყანაში მომწიფებული, განვითარებული სოციალიზმის ეტაპის დადგომის შედეგად. იგი აკრძალავს საბჭოთა კონსტიტუციების პრაქტიკას, მასში შენარჩუნებულია წინა კონსტიტუციების მთელი რიგი დებულებები, მაგრამ დაზუსტებული და დაკონკრეტებულია ისინი. მაგალითად, 1936 წელს მიღებულ კონსტიტუციაში ნათქვამია „სოციალისტურ საკუთრებას სსრ კავშირში აქვს ან სახელმწიფო საკუთრების ფორმა (საყოველთაო-სახალხო კუთვნილება), ან კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრების ფორმა (ცალკეულ კოლმეურნეობათა საკუთრება, კოოპერატიულ გაერთიანებათა საკუთრება)“. ეს მუხლი ახალი კონსტიტუციის პროექტში შემდეგნაირად არის ფორმულირებული: „სსრ კავშირის ეკონომიკური ნიადაგის უსაფრთხოებისა და ზრდის საშუალებათა სოციალისტური საკუთრება. სოციალისტური საკუთრება მოიცავს: სახელმწიფო (საყოველთაო-სახალხო) საკუთრებას; კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების (საკოლმეურნეო-კოოპერაციულ) საკუთრებას: პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრებას“. ეს დებულება უფრო სრულად ასახავს მომწიფებული, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას. მართლაც, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრება ისეთი სიდიდის სახით არის წარმოდგენილი და ისე მნიშვნელოვანია მისი როლი საბჭოთა საზოგადოებაში, რომ არ შეიძლება იგი „ცალკე სოციალისტური საკუთრების სპეციფიკურ ფორმად არ იქნას მიჩნეული.

აღნიშნულ მუხლს, ვფიქრობთ, უნდა დაემატოს საკუთრების ის ფორმაც, რომელიც საბჭოთა ადამიანების პირად სარგებლობაშია. ახალი კონსტიტუციის პროექტის მე-12 მუხლში კონსტატირებულია: „სსრ კავშირის მოქალაქეების შეიძლება პირად საკუთრებად ჰქონდეთ შრომითი შემოსავალი და დანაზოგი, საცხოვრებელი სახლი და დამხმარე საოჯახო მეურნეობა, საყოფაცხოვრებო პირადი მოხმარების და კეთილმოწყობის საგნები“. საკუთრების ეს ფორმა, რასაკვირველია, არ მეკუთვნება არც სახელმწიფო, არც საკოლმეურნეო-კოოპერაციულს და არც პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრებას, იგი მხოლოდ ინდივიდუალური, საბჭოთა მოქალაქეების პირადი საკუთრებაა. ამავე დროს იგი თავისი ბუნებით სოციალისტურია; პირადი საკუთრება ჩვენს ქვეყანაში, როგორც წესი, იქმნება საბჭოთა ადამიანების მიერ სოციალისტური საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის საფუძველზე. იგი ყალიბდება სოციალიზმის პრინციპის „თვითეულისაგან — უნარის მიხედვით, თვითეულს შრომის მიხედვით“. — მოთხოვნათა შესაბამისად. საბჭოთა მოქალაქეების პირადი საკუთრება წინააღმდეგ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მცხოვრებ ადამიანთა კერძო საკუთრებისა, არ შეიძლება იყოს არაშრომითი შემოსავლის მიღების წყარო ან გამოყენებულ იქნას საზოგადოების საზიანოდ.

საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა პირადი საკუთრება სოციალისტური საკუთრების განსაკუთრებული, სპეციფიკური ფორმა და იგი სოციალისტური საკუთრების სხვა ფორმებს ისაგავად ცალკე ფორმად უნდა მივიჩნიოთ.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ახალი კონსტიტუციის პროექტის მე-9 მუხლი შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: „სსრ კავშირის ეკონომიკური სისტემის საფუძველია წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება. სოციალისტური საკუთრება საკუთრება. სოციალისტური საკუთრება მოიცავს: სახელმწიფო (საყოველთაო-სახალხო) საკუთრებას; კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციების (საკოლმეურნეო-კოოპერაციულ) საკუთრებას; პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრებას ისეთი სიდიდის სახით არის წარმოდგენილი და ისე მნიშვნელოვანია მისი როლი საბჭოთა საზოგადოებაში, რომ არ შეიძლება იგი „ცალკე სოციალისტური საკუთრების სპეციფიკურ ფორმად არ იქნას მიჩნეული.

ეს ტერიტორია ისრაელმა მიტაცა არაბეთ-ისრაელის 1967 წლის ომის შედეგად და მას შემდეგ აქტიურად ასახლებდა აქ ებრაელ კოლონისტებს. ამასთან საუკეთესო მიწებს, რომლებიც მკვდარ არაბ მცხოვრებლებს ეკუთვნით, დადასტურებულ გასამხედროებულ დასახლებებს, რომლებიც ფაქტიურად გამაგრებულ ფორპოსტებს წარმოადგენენ სეტატორის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტების მისადგომებზე. ახალი დასახლება, რომელსაც ხოლიტი უწოდეს, იცავს იამიტის

„მცოცავი“ ანექსია

რომი, 12 ივლისი. (საკდესი). ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ეზერ ვეიცმანმა ოფიციალურად განსნა ებრაელთა ახალი, სათვალავით 23-ე განამხედრეობელი დასახლება ღაზის სექტორში.

ეს ტერიტორია ისრაელმა მიტაცა არაბეთ-ისრაელის 1967 წლის ომის შედეგად და მას შემდეგ აქტიურად ასახლებდა აქ ებრაელ კოლონისტებს. ამასთან საუკეთესო მიწებს, რომლებიც მკვდარ არაბ მცხოვრებლებს ეკუთვნით, დადასტურებულ გასამხედროებულ დასახლებებს, რომლებიც ფაქტიურად გამაგრებულ ფორპოსტებს წარმოადგენენ სეტატორის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტების მისადგომებზე. ახალი დასახლება, რომელსაც ხოლიტი უწოდეს, იცავს იამიტის ნავსადგურის მისადგომებს, რომელსაც ისრაელები აშენებენ ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე. ისრაელის პარლამენტის არჩევნების შემდეგ ტელ-ავივის ახალგამოცხადებამ მმართველებმა არ დააყოვნეს გამოცხადებინთ, რომ ისინი არ აპირებენ არაბებისაგან მიტაცებული ტერიტორიების უმრავლესობის დათმობას. ამ თვალსაზრისის დადასტურება იყო ვეიცმანის მოგზაურობა ღაზის სექტორში. იქ მან აგრძნობინა, რომ განაგრძობს ისრაელის უწინდელი მთავრობის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას პალესტინელი არაბების მიმართ. რაც შეეხება 300 ათას პალესტინელ ლტოლვილს, რომლებიც თავს აფარებენ ღაზის სექტორის კარვებიან ბანაკებში, განზრახული აქვთ ისინი „სხვადასხვა ადგილას დასახლონ.“

ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს სესია

დელი, 12 ივლისი. (საკდესი). ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის საკითხებს განიხილავენ ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს სესიაზე, რომელიც აქ მიმდინარეობს. მოწონებულია სამი დოკუმენტი.

ერთ-ერთ რეზოლუციაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ უკანასკნელი სამი თვეა ქვეყანაში შეიმჩნევა რეგორც საბითუმო, ისე საცალო ფასების ზრდა. ეს დაღს ასვამს უწინარეს ყოვლისა მოსახლეობის ღარიბი ფენების მდგომარეობას.

მეორე რეზოლუციაში სესიის მონაწილეებმა მთავრობას მოუწოდეს ანაბალოს მუშათა ხელფასის პრემიული სართის გაეცემა, რომელიც წინა მთავრობამ გაიუქმა.

ნეიტრონის ბომბი საფრთხეს უქადის მშვიდობასა და დაძაბულობის შენელებას, ხაზგასმულია ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს მესამე რეზოლუციაში, რომელიც მწვავედ აკრიტიკებს ამერიკის შეერთებული შტატების გადაწყვეტილებას დაარჩაროს, მსოფლიო საზოგადოებრიობის პროტესტების მიუხედავად, ნეიტრონული ბომბის წარმოება.

პაკისტანის ამბები

ისლამაბადი, 12 ივლისი. (საკდესი). პაკისტანის სამხედრო ადმინისტრაცია გენერალ ზიაულ ჰაკის მეთაურობით განაგრძობს ქვეყანაში მდგომარეობის სტაბილიზაციის ღონისძიებებს. ფენომენისა და სინდის პროვინციებში შენერეფულია პოფაკავშრების საქმიანობა, აიკრძალა გაფიცვების, მიტინგებისა და დემონსტრაციების მოწყობა. მიღებულია მთელი რიგი კანონები, რომლებიც ითვალისწინებენ ხანგრძლივი ვადის პატიმრობას დეზინფორმაციის გავრცელებისათვის, აგრეთვე შეიარაღებული ძალების შეურაცხმყოფი მოქმედებისა და გამონათქვამებისათვის. შეიარაღებულ ძალებსა და თავდასხმებში, მაროდერობაში და სხვა კანონსაწინააღმდეგო აქტებში მონაწილეობისათვის გათვალისწინებულია მკაცრი სასჯელი და თვით სიკვდილით დასჯა.

რავალპინდში სამხედრო ადმინისტრაციის მეთაური გენერალი ზიაულ ჰაკი შეხვდა ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებს. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სამხედრო ხელისუფალთ განზრახული აქვთ ამა წლის ოქტომბერში საყოველთაო არჩევნები მოაწყონ, და გამოაცხადა, რომ შეიქმნა არჩევნების მოსამზადებელი სპეციალური კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მოსამართლე მაულანა მუშტაკ ჰუსეინი.

ამავამად პაკისტანში ნორმალურად მუშაობს ყველა სახელმწიფო და საფინანსო დაწესებულება, სამრეწველო და სავაჭრო საწარმო.

მიწა — უვადო სარგებლობაში

რაციონალურად გამოვიყენოთ სახნავი ფართობები

მიწა ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საუნჯე და სოფლის მეურნეობაში წარმოების მთავარი საშუალებაა. ახალი კონსტიტუციის პროექტში ვკითხულობთ: „მიწა, რომელიც კოლმეურნეობებს უკავიათ, მათ აქვთ მიჩენილი უსასყიდლო და უვადო სარგებლობისათვის“. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონს მიწის გამოყენებისა და დაცვის თავისი სისტემა აქვს. იგი განსაზღვრულია არსებული ნიადაგურ-კლიმატური ობრობებით. ერთ ზონაში სახნავი ფართდება მრავალწლიანი ნარგავების გადიდების გამო, მეორეში — ქალაქების, ქარხნების, ფაბრიკების, დაბების მშენებლობის გამო, მესამეში — ეროზიების და ბაობების მოძალების გამო, მეოთხეში — ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის შედეგად და ა. შ.

მიწათსარგებლობის კანონის დაცვისა და მიწების რაციონალურად გამოყენების საქმეში, ისე, როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგში, რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი აღმავლობა დაიწყო მეცხრე ხუთწლედის მეორე ნახევრიდან. პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მიერ განხორციელებული დიდი ღონისძიებების შედეგად წლითიწლობით ეზრდება ინტენსიური მრავალწლიანი კულტურების ფართობები და მოსავლიანობა. მკვეთრად იმატა მარცვლეულის, პარკოსანი ბოსტნეულის, საკვები და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობამ.

მაღალინტენსიური სახნავი მიწების დაბალინტენსიური მიწების ფართობებიდან გადასვლა თითქმის ყველა რაიონში იკრძნობა, მაგრამ იგი ყველაზე მეტად დამახასიათებელია სამთოშოგორიანი ზონის რაიონებისათვის, სადაც მელიორაციის და ეროზიული პროცესების ლოკალიზაციის ხარჯებად გამოიყენების გამო მიწების გარკვეული ნაწილი ორ ხიზნება და ითესება. მაგრამ არის შემთხვევებიც, როცა ამ საშუალებას რაიონების ხელმძღვანელები კეროვან ყურადღებას არ უთმობენ. მაგალითად, ქართლის მეხილეობის ზონაში უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში 123,1 ათასი ჰექტარი სახნავი მიწიდან დაბალინტენსიური მიწების კატეგორიაში გადავიდა 9,1 ათასი ჰექტარი. ამასთან ნასვენი მიწების ფართობი 1,9 ათასი ჰექტარიდან გაიზარდა 3,7 ათასი ჰექტარამდე. სხვადასხვა მშენებლობისათვის გამოყოთლ იქნა 22 ათასზე მეტი ჰექტარი მიწა ძირითადად სახნავი მიწების ხარჯზე, ხოლო ამავე მიზეზით სარწყავი მიწების ფართობი შემცირდა 4,2 ათას ჰექტარით.

ჩაის, ციტრუსის, ვენახის, ხეხილის და სხვა მრავალწლიანი კულტურების ფაბრიკებისათვის პირველ რიგში უნდა გამოვყოთ ისეთი მიწები, სადაც ეს კულტურები კარგად ვითარდება და მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევა.

საქართველოში მთავარიანი მიწების გამოყენების ბევრი კარგი ტრადიციაა. ამას მოწმობს ახალციხისა და ასპინძის რაიონებში არსებული ტერასების ნარჩენები. ამას მოწმობს თუნდაც ზემო აჭარის რაიონში (ქედა, შუახევი, ხულო) შენარჩუნებული ძირეული მელიორაციის გამოყენების წესი. ვისაც ქედის რაიონის ახოს, გობრონეთის, ცხმორისის, კოკოტაურის, ვაიოს და სხვა სოფლები ერთხელ მაინც შემოუვლია, ალბათ შეამჩნევდა, რომ ამ სოფლებმა დიდი კაპიტალური დაბანდების გარეშე, მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით, შეძლეს ხევის წყლებიდან გაეყვანათ სარწყავი არხები და განსაკუთრებით გვალვიან პირობებში (აპრილი, მაისი) მოერწყოთ ფერდობებზე გაშენებული ვენახები და თამბაქოს პლანტაციები, ხელოვნური და ბუნებრივი სათიბები. აქ თავისებური გამოთქმაც კი არის შემორჩენილი ფერდობების მორწყვასთან დაკავშირებით — წყალი ისე უნდა დაუწიკწიკო, რომ მიწა არ ჩამოიტანოსო.

საქართველოს მოსახლეობა ოდითგანვე ანგარიშს უწევდა თავის მცირემიწიანობას და ქალაქებს, სოფლებს, საცხოვრებელ სახლებსა თუ სხვა ნაგებობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებათვის გამოუსადეგარი მიწის ფართობებზე აგებდა. სხვა ფაქტორებთან ერთად, სწორედ ამან განაპირობა ქალაქების: მცხეთის, თბილისის, სიღნაღის, თელავის; საკულტო დაწესებულების: ჯვრის, შიომღვრიმის, ზედაზენის, გარეჯის, ყაენთოს, გრემის, ვარძიის, გელათის, შუამთის და სხვა ნაგებობების ასაშენებლად ადგილის შერჩევა.

ამ ბოლო წლებში კი სოფლის მოსახლეობამ მასობრივად დაიწყო ძველი საცხოვრებელი ადგილების მიტოვება და სახლების მშენებლობა სახნავ მიწებზე, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ამგვარი მიწის ფართობები.

რესპუბლიკაში ამ ბოლო წლებში მეცხოველეობის და მეფრინველეობის მრავალი კომპლექსი და ფაბრიკა აშენდა. ეს საქმე კიდევ უფრო მეტად გაფართოვდება. ამიტომ კომპლექსებისა და ფაბრიკების მშენებლობისათვის, პირველ რიგში, უნდა გამოვიყენოთ სახნავად გამოუსადეგარი მიწები.

სახნავი მიწების გადიდების დიდი რეზერვებია ნასვენი და ყამირი მიწების ათვისება, დაჭაობებული მიწების ამოშრობა, დამლაშებული მიწების ქიმიური მელიორაცია, მიღინარეთა ნაპირების გამაგრება, ეროზიული მიწების აღდგენა და მრავალი სხვა, რაზეედაც დავალება უნდა მიეცეს შესაბამის კომეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, სამინისტროს და სხვ. ახალი კონსტიტუციის პროექტში კარგად არის ნათქვამი — „მიწა უსასყიდლო და უვადო სარგებლობისათვის“ აქვთ მიჩენილი კოლეეურნეობებს, და ამიტომ, მას მხოლოდ მაღალნაყოფიერად უნდა ვიყენებდეთ.

სამიწათმოქმედო ორგანიზაციის, სკოლების, ინსტიტუტების, სოფლის მეურნეობის მეცნიერ მუშაკთა ვალია მიწათმოწყობის დარგში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება ფართოდ გამოიყენონ მიწის რაციონალურად გამოყენების საქმეში, მიწისადმი სიყვარული და ერთგულება გადასცენ მომავალ თაობას.

ა. ნარჩომაშვილი,
დოცენტი.

წინადადებები

მშობლის პასუხისმგებლობა

მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდა ძირითადად საბჭოთა სკოლას ეკისრება, მაგრამ იგი ამ პასუხსაგებ ამოცანას წარმატებით ვერ შეასრულებს, თუ მხარში არ ამოუდგნენ ოჯახი და ფართო საზოგადოებრიობა.

სწორედ ამიტომაც შეიტანეს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში სპეციალური (66) მუხლი, რომელშიც ნათქვამია: „სსრ კავშირის მოქალაქენი მოვალენი არიან ზრუნავდნენ შვილების აღზრდისათვის, ამზადებდნენ მათ საზოგადოებივ სასარგებლო შრომისათვის...“. ბავშვის პირველი აღმზრდელნი მშობლები არიან, ამიტომაც საჭიროდ მიმაჩნია 66-ე მუხლს დაემატოს ასეთი წინადადება: „ბავშვის აღზრდის მთელი პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, ეკისრება მშობელს“.

გრ. გაბილოძე,
დოცენტი.

ქ. ბათუმი.

ვფიქრობ, ასე უკეთესი იქნება

გულდასმით ვსწავლობ მომავალი ძირითადი კანონის ცალკეულ მუხლებს. მხურვალედ ვიწონებ ამ ისტორიულ დოკუმენტს და იგი ჩემი შემდგომი ცხოვრების განწესი იქნება.

დამებადა ერთი მოსაზრება მე-13 მუხლის შესახებ, სადაც ლაპარაკია შრომაზე, სოციალიზმის პრინციპებზე, ხელფასსა და საშემოსავლო გადასახადის ოდენობაზე. კერძოდ, ამ მუხლში წერია, რომ „სახელმწიფო... განსაზღვრავს საშემოსავლო გადასახადის ოდენობას და აწესებს ხელფასის დონეს, რომელიც არ იბეგრება გადასახადით“, ხომ არ აკობებდა, ეს წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეთა ძირითადი ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადს არ იღებს, მაგრამ იგი აწესებს და განსაზღვრავს საშემოსავლო გადასახადის ოდენობას საშტატო განაკვეთის გადამეტებით გამომუშავებულ თანხაზე“.

დ. დარბაიძე,

ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატის ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს მუშა.

ტელეტაიპის ლენტიდან

დეფიციტი — 36 მილიარდი ესკუდო

● ლისაბონი. 1977 წლის პირველ ხუთ თვეში პორტუგალიის საგარეო ვაჭრობის ბალანსის დეფიციტმა შეადგინა 36 მილიარდ 499 მილიონი ესკუდო. ამას იუწყება სტატისტიკის ეროვნული ინსტიტუტი.

კანონიერი ადგილი

● ნიუ-იორკი. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მუდმივმა მეთვალყურემ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამ ორგანიზაციის ეენერალურ მდივანს კ. ვალდჰაიმს, გაუგზავნა წერილი, იგი შეიცავს თხოვნას უახლოეს ვადაში წარუდგინონ უშიშროების საბჭოს საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მიღების შესახებ.

მანიფესტაცია დელში

● დელი. „არ გვინდა სიკვდილის იარაღი!“, „შეწყვიტეთ ვამალებული შეიარაღება!“, „გაუმარჯოს მშვიდობასა და დაძაბულობის შენელებას!“ — გაიძახოდნენ მანიფესტანტები, რომლებიც შეიკრიბნენ ამერიკის შეერთებული შტატების დელის საელჩოს ჭიშკართან შეერთებული შტატების მიერ ნეიტრონული ბომბის გამოცდის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

დანაშაულობათა რეკორდი

● მაპუტუ. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ ერთ სულ მოსახლეზე მძიმე დანაშაულობათა რაოდენობის მხრივ დიდი ხანია გაუსწრო დასავლეთის ყველა ქვეყანას, ასე წერს აქაური გაზეთი „არგუსი“. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ყოველდღე დამნაშავეთა ხელით იღუპება 50-ზე მეტი კაცი, უკანასკნელი მონაცემებით, 1974-1975 წლებში 17.687 კაცი მოკლეს.

გაზეთი აღნიშნავს, რომ კეიპტაუნში მკვლელობის რიცხვი 30 პროცენტით მეტია, ვიდრე ჩიკაგოში — ამერიკის „დამნაშავეობის დედაქალაქში“, და ორჯერ მეტი, ვიდრე ნიუ-იორკში.

ესაც ზენი „თავისუფალი სამყარო“

დინ რიდი ბრალს სდებს...

ცნობილ ამერიკელ მომღერალსა და მსახიობს დინ რიდს ბევრ ქვეყანაში კარგად იცნობენ როგორც აქტიურ საზოგადო მოღვაწესაც. მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის მოძრაობის მონაწილეს. ახლახან დინ რიდმა ახალი ამბების სააგენტოს გამოუგზავნა წერილი, რომელშიც წერს:

„ამ ბოლო დროს ამერიკის სახელმწიფო მოღვაწეები ბევრს ლაყბობენ ადამიანის უფლებებზე. ისინი ფარისეველთა პოზაში დგებიან და რატომღაც ფიქრობენ, რომ მორალური უფლება აქვთ ჭკუა ასწავლონ მთელ მსოფლიოს, განსაკუთრებით კი დაგმონ სხვა ქვეყნები ომისათვის, თითქოს „ფიქრქვეშ თელავდნენ ადამიანის უფლებებს“. ვინაიდან ამერიკელი გაბლაგვარო, მით უმეტეს საზიზღრად მიმაჩნია ამგვარი ფარისეველური მტკიცებების გაგონება ზოგიერთი ჩემი თანამემამულის ბაგეთაგან.

ამას წინათ მთელმა მსოფლიომ შეიტყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებს აქვს ასალი ტიპის ბომბები, რომელებთაც, როგორც პრეზიდენტი კარტერი ამბობს, „ისეთ რაკეტებს აღჭურავენ. ამ ახალ ბომბს ამერიკელ სამხედრო პირთა დიდ ეენერალურ მიღწევად ასაღებენ, რადგან იგი არ სპობს მატერიალურ ფასეულობებს! არც შენობებს, არც ქარხნებს, არც მანქანებს არ აზიანებს! იგი მხოლოდ ადამიანებს სპობს!!! ეს ხომ არ არის უკანასკნელი ნაბიჯი ამერიკის შეერთებული შტატების მოსამზადებელი ომისა? ეს ხომ ადამიანის ბრალს სდებს?!

ბომბი, იმდენად სრულყოფილი ბომბია, რომ მხოლოდ ადამიანებს სპობს! ასეთი რამ რომ მოიფიქრო, მართლაც უცნაური და დამახინჯებული წარმოდგენა უნდა ქონდეს ადამიანის უფლებებზე!

კარგი იქნებოდა, ამერიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წევრები გასცნობოდნენ „ეამოძიების ფედერალური ბიუროს“ შარშანდელ მოხსენებას, რომელიც ამას წინათ წაეკითხე. თუმცა, დარწმუნებული ვარ, წაკითხული იქნებათ, მაგრამ მათ ხელს აძლევთ დაივიწყონ მოსსენებაში მოყვანილი ფაქტები, მაგალითად ის, რომ შეერთებულ შტატებში ყოველ 26 წუთში ხდება მკვლელობა (ბარაჭალა ქვეყანას, სადაც უფლებებს „ამერიკულად „იცავენ“), ყოველ ხუთ წუთში — გაუპატიურება, ყოველ 65 წამში — გაძარცვა ქუჩაში, ყოველ ხუთ წამში — სახლის ბატონობა და ქურდობა. ყოველ 32 წამში — ავტომობილის გატაცება. განა შეიძლება ამერიკას უწოდო ქვეყანა, სადაც ადამიანის უფლებებს იცავენ? მე მგონი, არა. ეს უფლებები საერთოდ არ არის ამ ქვეყანაში.

აი ამიტომაც მეცინება, როცა ვუსმენ ამერიკის შეერთებულ შტატებში იმათ, ვინც ღვთისმოსავის სახით მაღალფარდოვნად ლაყბობს ადამიანის უფლებებზე!“ (ასს).

უბედური ბავშვობა

შიმშილი, ავადმყოფობა, უწიგნურობა — აი ასეთია იტალიელ ღატაკთა ბავშვების ხვედრი. ყველა მათგანს ადრეული ბავშვობიდან უხდება ლუკმა-პურის შოვნა. ვით არ გაიჩნიათ არც ბავშვობა, არც მომავლის რწმენა. ხურათზე: კალაბრიელი უსახლკარო ბავშვები.

საკდესის ფოტოერონიკა.

ბოსტნეებიდან — მშრომელთა სუფრაზე

12 ივლისისათვის რესპუბლიკაში დამზადებულია დაახლოებით 66.200 ტონა ბოსტნეული, გეგმით გათვალისწინებული 285 ათასი ტონის ნაცვლად.

რესპუბლიკაში 1977 წლის 12 ივლისისათვის ხილის, კარტოფილის, ბოსტნეულის დამზადების შესახებ

	სულ გეგმა	დამზადება მათ ძირითადი გეგმა	მათ შორის დაგვიანება	დაკმაყოფილების ხარისხი
ბოსტნეული სულ	285.000	260.000	25.000	66.179
მათ შორის:				
კომბოსტო	44.700	30.000	14.700	45.070
კიტრი	17.200	17.000	200	8.917
კურკოვანი ხილი	66.000	66.000	—	9.733
კარტოფილი სულ	53.000	53.000	—	42.573
მათ შორის:				
ბოლნისიდან	30.800	30.800	—	31.000
მარნეულიდან	14.000	14.000	—	11.573

გასწორება

ჩვენი გაზეთის 13 ივლისის ნომერში დაბეჭდილ მასალაში „ფიზკულტურასა და სპორტს — ყოველდღიური პარტიული მზრუნველობა“ საქინფორმისა და გაზეთი „კომუნისტის“ მუშაკთა მიზეზით გაპარულია შეცდომები:

პირველი გვერდის მეხუთე სვეტში ზემოდან მეორე აბზაცის მე-3-4 სტრიქონებში უნდა იკითხებოდეს: რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში წამატებისა და თვალის ახვევის ფაქტების...

მეორე გვერდის მეორე სვეტის მეოთხე აბზაცი ზემოდან უნდა იწყებოდეს:

მეცნიერებითა და პრაქტიკული გამოცდილებით დადგენილია, რომ ამ ფაქტორის წყალობით შრომის ნაყოფიერება შეიძლება 5-10 პროცენტით და მეტად გაიზარდოს...!

მესამე სვეტში ზემოდან მეხუთე აბზაცში ზემოდან მე-4, 5, 6 სტრიქონებში უნდა იკითხებოდეს: ...ორ გადმოაჭაჭანეს ფაშისტ მსროლელთა სამხედრო დივიზიის — „ედელვაისის“ რჩეული ნაწილები...

მეოთხე სვეტის მესამე სტრიქონი ზემოდან უნდა იკითხებოდეს: ისინი მკაცრად უნდა აკონტროლებდნენ ყოველ თავიანთ ნაბიჯს...

ამავე სვეტის 21-22-ე სტრიქონები ზემოდან უნდა იკითხებოდეს: ჯერ კიდევ გვყვანან (და მოდით, ნუ დავხუჭავთ ამაზე თვალს!) ზეზღუდული არაშორსმჭვრეტელი მწვრთნელები...

შეცდომებისათვის რედაქცია ბოდიშს უხდის მკითხველებს.

ბოლო

ინ-ბანდერა

ინ-ბანდერა

ინ-ბანდერა

ინ-ბანდერა

X საქართველოს კინოფესტივალის ორბიტაზე

მოსკოვური შეხვედრების სითბო

ფერად-ფერადი

ყველასათვის ნაცნობი კინოფესტივალის ემბლემა კვლავ გამოჩნდა მოსკოვის ქუჩებში. X საერთაშორისო კინოფესტივალზე 94 ქვეყანამ წარმოადგინა თავისი საუკეთესო ნამუშევრები. ეკრანზეა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ცხოვრება, მათი სიხარული და სევდა, ფიქრი და იმედები.

კინოფესტივალის სტუმრებს და მონაწილეებს აჩვენეს კინოსტუდია „მოსფილმის“, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის და ჩეხოსლოვაკიის კინომუშაკთა ერთობლივი ნაწარმოები „თავისუფლების ჯარისკაცები“. კინოეპოპეა ოთხი ფილმისაგან შედგება. ეს არის გრანდიოზული ტილო, რომელიც ასახავს იმ სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, მეორე მსოფლიო ომში რომ ეწეოდა გმირი საბჭოთა არმია ევროპის ქვეყნების გასათავისუფლებლად ფაშიზმის უღლისაგან. ეს იყო ისტორიული გამარჯვება, რომელიც ინტერნაციონალიზმის მაღალი იდეებით იყო ფრთაშესხმული. ფილმში ჩვენი ქვეყნის და სოციალისტური ქვეყნების გამოჩენილი მსახიობები მონაწილეობენ. დამდგმელი რეჟისორია ი. ოზეროვი, მთავარი ოპერატორი — ი. სლაბნევიჩი, მთავარი სამხედრო კონსულტანტი — არმიის გენერალი ს. შტემენკო.

როლებს ასრულებენ: გიორგი დიმიტროვი — ს. გეცოვი (ბულგარეთი), კლემენტ გოტვალდი — ნ. პასტერნაკი (ჩეხოსლოვაკია), ვილჰელმ პიკი — ხ. პროისკერი (გდრ), პალმირო ტოლიატი — ლ. კბაკჩივი (ბულგარეთი), სტალინი — ი. ტრიპოლსკი, მარშალი ჟუკოვი — მ. ულიანოვი, მარშალი ვასილევსკი — ჯ. ბურნკოვი, მარშალი კონევი — ვ. ავდიუშკო, მარშალი როკოსოვსკი — ვ. დავიდოვი, ლ. ი. ბრეჟნევი — — ვ. მატვეევი, ჩერჩილი — ვ. კაბანსკი, რუზველტი — ლ. იასკევიჩი (პოლონეთი) და სხვ.

ფესტივალის ცენტრალურ დარბაზში აჩვენეს კინკურსზე წარდგენილი საბჭოთა ფილმი „ღამე ჩილეში“. რეჟისორები სებასტიან ალარკონი და ალექსანდრე კოსარევი. როლებში — გრიგორი გრიგორიუ, გიული ჭოხონელიძე, ბაადურ წულაძე, მარია საგიდაკი, ნინა კრეჩეტნიკოვა და სხვ. ფილმში ლაპარაკია იმ ძმიმე ხვედრზე, რაც ჩილელ ხალხს პინოჩეტს ფაშისტურმა რეჟიმმა მოუტანა: ტანჯვა, ადამიანურ უფლებათა ფეხქვეშ გათელვა და დაწიერება. მაგრამ სამხედრო ხუნტას არ ძალუძს წაართვას თავისუფლებისმოყვარე ჩილელ ხალხს იმედი და გმირული სულის შემართება. ჩილეში გრძელდება ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლად...

ფილმს დემონსტრაციის შემდეგ რეჟისორ სებასტიან ალარკონს გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებისათვის მოკლე ინტერვიუ ვთხოვეთ.

— ეს ჩემი პირველი ინტერვიუა, — იღიმება რეჟისორი. — მიხარია, რომ ჩვენს ფილმს წარმატება ხვდა. ადრე გატაცებული ვიყავი დოკუმენტური კინოთი. ფილმზე მუშაობამ სამ წელზე მეტი გასტანა. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ქართველი მსახიობების დიდი წვლილი ფილმის გამარჯვებაში. მე და ჩემი მეგობრები ქართული კინოს თაყვანისმცემელნი ვართ. ფილმის დამდგმელი კოლექტივის სახელით დიდ მადლობას მოგახსენებ ქართველ კოლეგებს. ჩილელი კომუნისტის ხუან გოსსარვეისის დაუვიწყარი სახე შექმნა გ. ჭოხონელიძემ.

ფესტივალის დღეებში დიდ და საინტერესო მუშაობას ეწევა საკავშირო გაერთიანება „სოვინფილმი“, რომლის გენერალური დირექტორია ჩვენი თანამემამულე ო. თეხეიშვილი. აქ უცხოეთის კინოკომპანიების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების დროს მტკიცდება გეგმა იმ ფილმებისა, რომლებსაც საბჭოთა და უცხოელი რეჟისორები ერთობლივად გადაიღებენ. დასავლეთ გერმანიის ფირმის „ინტერ ალიანც ფილმის“ მეპატრონეებმა მორ ფონ შამიერ და ვოლფგანგ ლიპსმა განაცხადეს, რომ დასავლეთ გერმანიის ტელევიზიის განსაკუთრებით მოეწონათ ტელესერია ფილმებისა „სამხრეთის გზები“, „ტილ უოლენშპიგელი“, „დაუმთავრებელი პიესა მექანიკური პიანინოსთვის“, და რომ მათი ფირმის დაკვეთით საბჭოთა კინოს მუშაკებმა უნდა შექმნან 13-სერიანი ფილმი „ტამ ტალერი“...

აქვე გავიცანით სახელგანთქმული ამერიკელი მსახიობი კირკ დუგლასი, რომელიც მოსკოვის ფესტივალზე ჩამოვიდა როგორც პრიდიუსერი. მასთან ერთად იმყოფება ამერიკის კომპანია „ტაუერ ინტერნეიშნლის“ პრეზიდენტი კლარა რისი.

—ჩემთვის დიდი პატივია დავესწრო მოსკოვის კინოფესტივალს, — თქვა კირკ დუგლასმა. — ამისდა დიდი ხნის ოცნება — ჩამოვსულიყავი საბჭოთა კავშირში. რამდენიმე წლის წინათ ჩემთან კალიფორნიაში სტუმრად იყვნენ კოსმონავტი გ. ბერეგოვი და ბალერინა მაია პლისეცკაია. მათთან შეხვედრების შთაბეჭდილება წარუშლელია. ჩემს მიერ ნანახი საბჭოთა ფილმებიდან განსაკუთრებით მომეწონა მიხეილ კალატოზოვის „მფრინავენ წეროები“. ჩემმა მეგობარმა პიტერ ფინჩმა ბევრი რამ საინტერესო მიამბო თქვენს რეჟისორზე. იგი ამაყობს, რომ მონაწილეობს კალატოზოვისეულ ფილმ „ეროვლ კარავნი“. მოსკოვში ჩამოვედი როგორც პროდიუსერი. ჩვენ გვინდა საბჭოთა კავშირთან ერთად დადგათ ფილმი „მონტეზუმა“. თქვენს ქვეყანაში იცნობენ წიგნს „მონტეზუმას ქალიშვილს“. ამ ფილმის სცენარი უკვე გადავეცი „სოვინფილმის“ ხელმძღვანელობას განსახილველად. ჩვენ საინტერესო საუბარი გვქონდა ანტიკური თემაზე ერთობლივი ფილმის დადგმის შესახებ. ორსერიანი ფილმის პირობით სახელსაც გაგიმხელთ: „კოლიდა, საიდანაც მოტაცეს მედეა“ და „ოქროს საწმისი“. რა უნდა იყოს ამ ფილმზე მშვენიერი? იმედი მაქვს, რომ ჩანაფიქრს სულ მალე განვახორციელებთ...

ფესტივალის ორგკომიტეტის სახელზე მოვიდა წერილი, რომელსაც ხელს აწერს იტალიელი კინომსახიობი სოფი ლორენი. იგი მიესალმება მოსკოვის X საერთაშორისო კინოფესტივალს და იგონებს მოსკოვში გატარებული ზაფხლის დღეებს: „ეს მომსწრე ვიყავი, — ამბობს სახელგანთქმული მსახიობი, — 1965 წლის ფესტივალზე რ. ჩხეიძის „ჯარისკაცის მამის“ ტრიუმფალური წარმატებისა, დაუვიწყარი ს. ზაქარიაძის მონაწილეობით. ქედს ვიხრი ქართველი მსახიობის ტალანტის წინაშე და ვიგონებ ჩვენს დაუვიწყარ შეხვედრებს და მეგობრობას მოსკოვში ყოფნის დროს“...

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
ქ. მოსკოვი.

ფეხბურთი

იწყება მეთოთხმეტე ტური

საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების გათამაშების პირველი წრე ფინიშს უახლოვდება. დარჩა ორი ტური. ყოველ ქულას, ყოველ მიღებულ თუ გაცარცალ ბურთს უკვე დიდი მნიშვნელობა აქვს სატურნირო ცხრილში სიცცადის შესაცანად. დღეს იწყება მეთრიგე, მეთოთხმეტე ტური. თბილისის „დინამო“ 19 ქულით გათამაშების ერთპირწონული ლიდერია. მან მოწინააღმდეგეებთან შედარებით ქულათა მაქსიმუმი დააგროვა და დაკარგული ქულებიც ყველაზე ნაკლები აქვს. დღეს გაიმართება ამ ტურის ცენტრალური მატჩი — ქართველი დინამოელები მოსკოვში ეთამაშებიან მესაპე ადგილზე მყოფ „ლოკომოტივს“, რომელსაც 17 ქულა აქვს. ეს გუნდები საკავშირო ჩემპიონატებში ორმოცდამეთორმეტჯერ ხვდებიან ერთმანეთს. თუ გადავხედავთ სტატისტიკურ მონაცემებს, უპირატესობა აშკარად დინამოელთა მხარეზეა. თბილისელებმა მოიგეს 23 შეხვედრა, 14 წააგეს და ამდენივე ფრედ დაამთავრეს, ბურთების შეფარდება 90:72 დინამოელთა სასარგებლოდ.

მოსკოვის „ლოკომოტივსა“ და თბილისის „დინამოს“ დღევანდელი მატჩის მეორე ტაიმის რეპორტაჟის მოსმენა შეგიძლიათ საქართველოს რადიოთი 21 საათზე თბილისის დროით.

უკანასკნელ ადგილზე მყოფი კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“, რომელსაც 7 ქულა აქვს, დონეცკში ეთამაშება „შახტიორს“. ასევე მეორე 8 ქულიანი აუტსაიდერი ვოროშილოვგრადის „ზარია“ მასპინძლობს მოსკოველ არმიელებს. ცხრა-ცხრა ქულა აქვთ და გათამაშების ცხრილს „საშო ზონაში“ არიან ლვოვის „კარპატი“ და ოდესის „ჩერნომორეცი“. ისინი თავიანთ მოედანზე თამაშობენ, პირველის მოწინააღმდეგეა ლენინგრადის „ზენიტი“, ხოლო მეორისი — მოსკოვის „დინამო“, რომელსაც 17 ქულა აქვს და მეორე ადგილზეა, კიევის „დინამო“, რომელიც კვირას სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალში დიდი ანგარიშით დაამარცხეს მოსკოველმა თანაკულუელებმა, უმასპინძლებს ერევნის „არარატს“. ამ მატჩის ორივე ტაიმის ტელეტრანსლაციი შეგიძლიათ ნახოთ 20 საათზე თბილისის დროით.

ხვალ გაიმართება ტურის კიდევ ორი დარჩენილი შეხვედრა. მოსკოვში „ტორპედო“ ეთამაშება ბაქოს „ნეფტჩის“, ხოლო დნეპროპეტროვსკში — „დნეპრი“ ალმა-ათის „კაირატს“.

ჟურნალისტთა ჟორტრეტები

რუსეთ საბჭოთა დიდოსტატების უძლიერეს მეტოქეებს ასახელებენ მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლაში, აი უკვე მრავალი წელია აუცილებლად მოიხსენიებენ ხოლმე ლაიოშ პორტიშს, რომელიც ჟურნალისტებმა „უნგრელ ბოტვინიკად“ მონათლეს. ამასთან მათ მხედველობაში ჰქონდათ თამაშის მანერა და საერთო სპორტული სახე.

აი, მთავარი განსხვავება კი მათ შორის ის არის, რომ ისინი სხვადასხვა გზით მიდიოდნენ ჭადრაკის ოლიმპის მწვერვალებისაკენ. ბოტვინიმა შედარებით იოლად — 37 წლისამ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი, შემდეგ კი დიდხანს იგერიებდა პრეტენდენტთა იერიშებს და ძირითადად ცდილობდა შეენარჩუნებინა და განემტკიცებინა მოპოვებული. პორტიში მიზნისაკენ უფრო ნელა და თანდათანობით მიიწევს. 28 წლისამ მან პირველად მიაღწია პრეტენდენტთა ტურნირის მეოთხედფინალურ ეტაპს, მაგრამ ვერა და ვერ გავიდა ნახევარფინალში. ეს უფლება მან მხოლოდ შეუპოვარი ბრძოლით მოიპოვა წელს, როცა ბრწყინვალედ მოუგო „დანის პრინცს“ ბენტ ლარსენს ანგარიშით 6,5:3,5. ამრიგად, 40 წლის შესრულების წინ, რომელიც თითქმის ლარსენზე გამარჯვებასთან ერთად იზიიმა 1977 წლის 7 აპრილს, იგი თანამედროვეობის უძლიერეს დიდოსტატთა ხუთეულში აღმოჩნდა.

მაგრამ რას ამბობს თავის „უნგრელ ტყუპის ცალზე“ თვითონ ბოტვინიკი?

იგი ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ წერდა:

— დიდი მოჭადრაკე მხოლოდ ის გახდება, ვისაც აქვს ოთხი უმნიშვნელოვანესი თვისება: ნიჭი, მებრძოლის ხასიათი, ჯანმრთელობა და შეჯიბრებისათვის მზადების უნარი. საზონთაშორისო ტურნირების მონაწილეთა შორის ყველა ეს თვისება ყველაზე მეტად აქვს პორტიშს...

ლაიოშ პორტიში მდიდარი საჭადრაკო ტრადიციების ქვეყანაში გაიზარდა. საკმარისია გავიხსენოთ ისეთი სახელები, როგორიცაა გეზა მაროცი (1870-1951), რუდოლფ სარუზეკი (1873-1900) და ანდრე

ილიენტალი (დაიბადა 1912 წელს).

ლაიოშ პორტიშს ბავშვობიდანვე ყველა პირობა ჰქონდა ნიჭის განვითარებისათვის. იგი დაიბადა პატარა ქალაქ ზალაეგერსეგში, სადაც თავი გამოიჩინა ბავშვთა შეჯიბრებებში. თავდაპირველად მისი წარმატებანი რამდენადმე მოკრძალებული იყო, მაგრამ რას იზამ, ასეთია ამ კაცის ცხოვრების სტილი. როცა მეათე კლასში სწავლობდა, უკვე ოსტატობის კანდიდატის თანრიგი ჰქონდა.

1955 წელს იგი უმაღლეს სასწავლებელში შევიდა და ბუდაპეშტში გადასახლდა. მალე პირველად მიიღო მონაწილეობა უნგრეთის ჩემპიონატში, სადაც მეათე-მეთერთმეტე ადგილები გაინაწილა 50 პროცენტიანი შედეგით, რამაც ეროვნული ოსტატის ტიტული მოუპოვა.

მომდევნო წლის მარტში მართლაც დიდ წარმატებას მიაღწია. უნგრეთის უძლიერეს ოსტატთა ა. ალიოხინის ხსოვნის აღსანიშნავ ტურნირში პირველი-მეორე ადგილები გაიყო ბენკოსთან. ამისთვის ჭაბუკი ოსტატი მოსკოვის ოლიმპიადაზე უნგრეთის ნაკრები გუნდის სათადარიგო მონაწილედ ჩარიცხეს. გუნდმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვა, თანაც ამ მიღწევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პორტიშმა, რომელმაც 5 პარტიაში 4 ქულა მოაგროვა.

1958 წელს პორტიში უნგრეთის ჩემპიონი გახდა და პირველი პრიზი მოიპოვა ბალატონფურედის საერთაშორისო ტურნირზე, სადაც ტოლუშს გაუსწრო.

იმ დროს უნგრეთის პირველობას ძირითადად ერთმანეთს ეცილებოდა ორი დიდოსტატი — ლასლო საბო და გიდეონ ბარცა. იოლი არ იყო მათი მეტოქეობა. პორტიშს რამდენიმე წელი დასჭირდა, რომ მათ მხარში ამოსდგომოდა და შემდეგ გაესწრო კიდეც.

ძნელი გამოცდა აღმოჩნდა მისთვის მოსკოვის 1967 წლის ტურნირი, რომელშიც თვრამეტი დიდოსტატი მონაწილეობდა. იგი არაერთხელ დამარცხდა, მაგრამ მომდევნო ტურში მუდამ აღწევდა რევანშს. მან დაამარცხა ისეთი კორიფეები, როგორიც არიან კერესი, ტალი, პეტროსიანი და სპასკი!

ის წელი პორტიშმა საზონთაშორისო ტურნირზე წარმატების მოპოვებით დამთავრა. იგი მეორედ გახდა პრეტენდენტი, მაგრამ 1968 წელს კვლავ ვერ გასცდა მეოთხედფინალს. ლარსენთან მისი მატჩი ნაცნობი სცენარის მიხედვით მიმდინარეობდა. თავდაპირველად პორტიში ჩამორჩა, წააგო ერთი, მეორე პარტია... უცებ მოზღვავდა ენერგია და ზედიზედ ორი პარტია მოიგო, უკანასკნელისწინა პარტიაში კი მოსაგებ პოზიციას მიაღწია. ცოტაც და... მაგრამ მაშინ ლარსენიც ჩინებული შებრძოლი იყო. მან ყაიმამდე მიიყვანა შეხვედრა, მატჩის უკანასკნელ პარტიაში კი გაანადგურა მეტოქე.

ისევ სამი წელი უნდა ელოდა. ამ ხნის მანძილზე პორტიში კიდევ ერთ დავაკაცდა, როგორც ეტყვიან, კლასის დიდოსტატი. მან ზეიმუნედ მოიპოვა უდიდესი ტურნირების ბევი ველი პრიზები. და ბოლოს ატლანტა-პოლისის საზონთაშორისო ტურნირი... 1973 წელი იყო. ლაიოში მთელ ტურნირს ლიდერობდა. უკანასკნელი ტურის მარცხი — პოლუგაევსკისთან წაგება — უკვე ვეღარ წაარომევს ყველა შანსს, მან პირველი ადგილი დაუთმო მეკინგს, მაგრამ მეორე-მეოთხე პრიზები გაინაწილა გელერთან და პოლუგაევსკისთან ერთად. და, მერამდენედ უხდება „მესამე ტაიმის“ თამაში!

თითქმის არავის არ ეპარებოდა ეჭვი, რომ ორი საბჭოთა დიდოსტატი დაამარცხებდა ერთ უნგრელს. მაგრამ მან ორივეს მოუგო და უკვე მესამე წრის შემდეგ გაინაღდა სამთა ტურნირის პირველი ადგილი.

დრამატულად მიმდინარეობდა მისი მეოთხედფინალი პეტროსიანთან. უნებურად გაგახსენდებოდა ლარსენთან მისი მატჩის დეტალები. პეტროსიანმა ორი ქულით გაუსწრო. კვლავ მოიკრიბა ძალ-ღონე პორტიშმა და შეძლო დაკარგულის ანაზღაურება. ბრძოლამ კულმინაციას მიაღწია, როცა პეტროსიანმა მესამედ დამარცხა, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა.

ღირსსახსოვარი იყო 1975 წელი, როცა მილანში გაიმართა თორმეტი სუპერდიდოსტატის ტურნირი მსოფლიოს ახალი ჩემპიონის კარპოვის ლოვანესი თვისება: ნიჭი, მებრძოლის ხასიათი, ჯანმრთელობა და შეჯიბრებისათვის მზადების უნარი. საზონთაშორისო ტურნირების მონაწილეთა შორის ყველა ეს თვისება ყველაზე მეტად აქვს პორტიშს...

ლაიოშ პორტიში მდიდარი საჭადრაკო ტრადიციების ქვეყანაში გაიზარდა. საკმარისია გავიხსენოთ ისეთი სახელები, როგორიცაა გეზა მაროცი (1870-1951), რუდოლფ სარუზეკი (1873-1900) და ანდრე ლილიენტალი (დაიბადა 1912 წელს).

ლაიოშ პორტიშს ბავშვობიდანვე ყველა პირობა ჰქონდა ნიჭის განვითარებისათვის. იგი დაიბადა პატარა ქალაქ ზალაეგერსეგში, სადაც თავი გამოიჩინა ბავშვთა შეჯიბრებებში. თავდაპირველად მისი წარმატებანი რამდენადმე მოკრძალებული იყო, მაგრამ რას იზამ, ასეთია ამ კაცის ცხოვრების სტილი. როცა მეათე კლასში სწავლობდა, უკვე ოსტატობის კანდიდატის თანრიგი ჰქონდა.

1955 წელს იგი უმაღლეს სასწავლებელში შევიდა და ბუდაპეშტში გადასახლდა. მალე პირველად მიიღო მონაწილეობა უნგრეთის ჩემპიონატში, სადაც მეათე-მეთერთმეტე ადგილები გაინაწილა 50 პროცენტიანი შედეგით, რამაც ეროვნული ოსტატის ტიტული მოუპოვა.

მომდევნო წლის მარტში მართლაც დიდ წარმატებას მიაღწია. უნგრეთის უძლიერეს ოსტატთა ა. ალიოხინის ხსოვნის აღსანიშნავ ტურნირში პირველი-მეორე ადგილები გაიყო ბენკოსთან. ამისთვის ჭაბუკი ოსტატი მოსკოვის ოლიმპიადაზე უნგრეთის ნაკრები გუნდის სათადარიგო მონაწილედ ჩარიცხეს. გუნდმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვა, თანაც ამ მიღწევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პორტიშმა, რომელმაც 5 პარტიაში 4 ქულა მოაგროვა.

1958 წელს პორტიში უნგრეთის ჩემპიონი გახდა და პირველი პრიზი მოიპოვა ბალატონფურედის საერთაშორისო ტურნირზე, სადაც ტოლუშს გაუსწრო.

იმ დროს უნგრეთის პირველობას ძირითადად ერთმანეთს ეცილებოდა ორი დიდოსტატი — ლასლო საბო და გიდეონ ბარცა. იოლი არ იყო მათი მეტოქეობა. პორტიშს რამდენიმე წელი დასჭირდა, რომ მათ მხარში ამოსდგომოდა და შემდეგ გაესწრო კიდეც.

ძნელი გამოცდა აღმოჩნდა მისთვის მოსკოვის 1967 წლის ტურნირი, რომელშიც თვრამეტი დიდოსტატი მონაწილეობდა. იგი არაერთხელ დამარცხდა, მაგრამ მომდევნო ტურში მუდამ აღწევდა რევანშს. მან დაამარცხა ისეთი კორიფეები, როგორიც არიან კერესი, ტალი, პეტროსიანი და სპასკი!

ის წელი პორტიშმა საზონთაშორისო ტურნირზე წარმატების მოპოვებით დამთავრა. იგი მეორედ გახდა პრეტენდენტი, მაგრამ 1968 წელს კვლავ ვერ გასცდა მეოთხედფინალს. ლარსენთან მისი მატჩი ნაცნობი სცენარის მიხედვით მიმდინარეობდა. თავდაპირველად პორტიში ჩამორჩა, წააგო ერთი, მეორე პარტია... უცებ მოზღვავდა ენერგია და ზედიზედ ორი პარტია მოიგო, უკანასკნელისწინა პარტიაში კი მოსაგებ

უნგრელი ბოტვინიკი

მეთაურობით. ეს ტურნირი საკავშირიმენტო სისტემით მიმდინარეობდა: თავდაპირველად საერთო წრიული ტურნირი იყო, შემდეგ კი პირველი ოთხეული მატჩებს თამაშობდა გამოვარდნის სისტემით.

პორტიში ბრწყინვალედ იბრძოდა. მან დამაჯერებლად მოიგო წრიული ტურნირი და უკან ჩამოიტოვა კარპოვიც, პეტროსიანიც, ტალიც, მსოფლიო ჭადრაკის ბევრი სხვა გამოჩენილი ოსტატი. ნახევარფინალურ მატჩში დაამარცხა ამომავალი ვარსკვლავი — ლუბოევიჩი. და მხოლოდ ფინალურ ორთაბრძოლაში ერთი ქულა დაუთმო მსოფლიოს ჩემპიონს.

ძნელი გამოცდა ხვდა წილად პორტიშს შვეიცარიის 1976 წლის საზონთაშორისო ტურნირის დროს. ფინიშამდე ოთხი ტურით ადრე პირველ სამეულში მოხვედრის შანსი ფრიად საეჭვო იყო, ამ დროისათვის მან უკვე სამი დამარცხება იწვნია და რამდენიმე ნომერი გამოიცვალა სასტუმროში. იგი დიდ იმედებს ამყარებდა აუტსაიდერთან— შვეიცარიელ ლომბარდთან პარტიაზე. მასთან ერთად ამ იმედს ელოლიავებოდა მთელი „მოჭადრაკე“ უნგრეთი. როცა მეორე დილას ბუდაპეშტში შეიტყვეს, ლაიოშმა ეს პარტია წააგოო, არ დაიჯერეს... ვინ არ დაეეჭვდა სულით ამის შემდეგ?

დაუჯერებელი იყო ისიც, რომ ამის შემდეგ პორტიშმა სამივე დარჩენილი პარტია მოიგო. შედეგად ლარსენმა პირველი ადგილი დაიკავა, პორტიშმა კი. მეორე-მეოთხე ადგილები გაინაწილა ტალთან და პეტროსიანთან ერთად. და ისევ ყველას ეგონა, რომ მსოფლიოს ორ ეკს-ჩემპიონს არ გაუჭირდებოდა „უტიტულო“ მეტოქის დამარცხება. ეს აზრი თითქოს დადასტურდა, როცა სტარტზე პორტიშმა პეტროსიანთან შეხვედრა წააგო. მაგრამ ეს უნგრელი მოჭადრაკე შეგვიძლია მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონად ჩავთვალოთ დამატებითი „ტაიმების“ გათამაშებაში. მან დროზე შეძლო შავებით ტალის დამარცხება, შემდეგ კი სტატუს-კვო შეინარჩუნა.

მაშ ასე, ისევ მეოთხედფინალი — უკვე მეოთხედ! ნუთუ კვლავ არ გაუღიმებს ბედი? მითუმეტეს, რომ მოწინააღმდეგე ისევ ის არის, ვინც ცხრა წლის წინათ იყო — მრისხანე ლარსენი.

როტერდამის ორთაბრძოლის ამბები ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ ჭადრაკის მოყვარულთ. პორტიში გულდაჯერებთ უკვეწილ მეტოქეს. კეთილად იმ სტადიაშიც, რომელშიც წინათ ლარსენზე სუსტი იყო — ენდშპილში. ამ მატჩის წინ ბუდაპეშტში გამოვიდა პორტიშის წიგნი „600 ენდშპილი“. რომ მოესურვებინა, მას შეეძლო კიდევ რამდენიმე ჩინებული დამოლოცვა შეეტანა ამ წიგნში როტერდამის მატჩიდან.

ახლა იგი პირველად არის ნახევარფინალში. მისი მოწინააღმდეგეა სპასკი. მსოფლიოს ჩემპიონთან შერკინების უფლებისათვის მათ უკვე 4 პარტია ითამაშეს. ჯერ-ჯერობით ანგარიშია 2,5:1,5 პორტიშის სასარგებლოდ.

ე. გუფელდი,
საერთაშორისო დიდოსტატი.



ლენინგრადის საერთაშორისო

დარჩა მოსკოვში

ბოლოს, ბოლოს ... ლენინგრადელ ... ბ. ... ...